საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 16 იანვარი. 2020 წ. №7 (8933) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუკის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

„ჰუმან რაიტს ვოჩის“: ანგარიშები უანგარიშოდ

„ჰუმან რაიტს ვოჩის“ 2019 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების საკითხზე რამდენიმე მიმართულებით ამახვილებს ყურადღებას.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობა და საარჩევნო სისტემის თემაზე გამუდმებული პროტესტები საქართველოსთვის 2019 წლის დამახასიათებელი თავისებურება იყო. უფლებადამცველი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ივნისში, ხელისუფლებამ გადამეტებული ძალის გამოყენებით დაშალა მეტწილად მშვიდობიანი დემონსტრაცია და შემდგომი პოლიტიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად, პარლამენტის თავმჯდომარე გადადგა და მმართველმა პარტიამ არჩევნების პროპორციული წესით ჩატარების პირობა დადო, თუმცა მოგვიანებით პირობაზე უარი თქვა, რამაც შემდგომი პროტესტები გამოიწვია.

ორგანიზაციის აზრით, ქვეყანაში შეშფოთების სხვა საგანია ასევე სუსტი შრომითი კანონმდებლობა, რომელიც შრომის უსაფრთხოებას ძირს უთხრის, მედიის პლურალიზმის წინაშე არსებული საფრთხე, ნარკოდანაშაულზე გაუმართლებლად მკაცრი კანონი, და ლგბტ პირების წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაცია.

იხ. 2 გვ.

60-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქე ევროკავშირში შესვლისას დამატებით მოსაკრებელს გადაიხდის

ევროკავშირის მიერ ახალი უსაფრთხოების სისტემის ამოქმედების შემდეგ, 2021 წლიდან, ევროზონაში შესვლისას 60-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქე მოსაკრებელს 7 ევროს გადაიხდის. მოსაკრებლისგან თავისუფლდებიან 18 წლამდე და 70 წელს გადაცილებული ადამიანები. ამ ქვეყნების სიაში საქართველო არ შედის.

avianews-ის ინფორმაციით, ETIAS (European Travel Information and Authorisatio System) სისტემას ევროკავშირი 2021 წლიდან დანერგავს, რაც უვიზო რეჟიმით მოსარგებლე მესამე ქვეყნების მოქალაქეებისთვის გარკვეული საფასურის დაწესებას ითვალისწინებს.

მოქალაქეს ETIAS ვებ-გვერდზე ანკეტის შევსება მოუწევს – პირადი მონაცემები, პასპორტის ნომერი, ევროპის იმ ქვეყნის სახელწოდება, რომელსაც სტუმრობს, კონფლიქტების ზონაში ყოფნასთან დაკავშირებული ინფორმაცია, დეპორტაციაზე ინფორმაცია და სხვა. განაცხადის დამუშავება ჯდება 7 ევრო ღირს. ანკეტა ავტომატურ რეჟიმში დამუშავდება, ტურისტი დასტურს ან უარყოფას რამდენიმე წუთში მიიღებს. ნებართვა ტურისტმა საზღვრის გადაკვეთისას მესაზღვრეს უნდა წარუდგინოს. ამის შემდეგ კი ქვეყანაში შესვლის გადაწყვეტილებას სასაზღვრო სამსახურის თანამშრომელი იღებს. ETIAS სისტემაში დადასტურებულ ნებართვას 3 წელი აქვს ვადა. 7 ევროს გადახდაც პირს შენგენის ზონაში შესასვლელად სამ წელიწადში ერთხელ სჭირდება.

რა ელის მსოფლიო ეკონომიკას მომავალ ათწლეულში?

4

რუსეთის მთავრობა გადადგა

რუსეთის ფედერაციის მთავრობა გადადგა. ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს. ქვეყნის პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა მთავრობის გადადგომის შესახებ განცხადება რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ ფედერალური კრებისადმი მიმართვის შემდეგ გააკეთა.

რუსული მედიის ცნობით, ვლადიმერ პუტინის მიერ დაანონსებული საკონსტიტუციო ცვლილებების ფონზე, დიმიტრი მედვედევი მთავრობის მოქმედი შემადგენლობის გადადგომას სწორად მიიჩნევს. ამის შესახებ მან რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას განაცხადა.

მკვლელი დრონები: გონიერ უპილოტო საფრენ აპარატებს მესამე მსოფლიო ომის დაწყება შეუძლიათ

8

„სასარგებლო იდიოტები“

რუსული აგენტურა და 10 საქმე 7 წელიწადში: საქართველომ ნდობა დაკარგა?

5

ალექსანდრე შენგელია: სიტყვათაგან კოჰელეთისა, დავითის ძისა, იერუშალაიმის მეფისა

6



7

დედაქალაქის მერია კორუფციასთან ბრძოლის შტაბად უნდა იქცეს!

9

ქართველი მოსწავლეების საერთაშორისო ტრიუმფი

7

გენერალური პროკურორის თანამდებობაზე 5 კანდიდატია წარდგენილი

საპროკურორო საბჭოს საქართველოს გენერალური პროკურორის ვაკანტურ თანამდებობაზე ხუთი კანდიდატი წარედგინა. ესენი არიან **გრიგოლ გაგნიძე, რაულ გამისონია, სოფიო შენგელია, პაატა გაბელია, ფიქრია ზირაქაშვილი.**

პირველი კანდიდატი — ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ თავმჯდომარე, ადვოკატი და უფლებადამცველი გრიგოლ გაგნიძე წარადგინეს ორგანიზაციებმა: ა(ა)იპ „ანტიკორუფციული უსაფრთხოების და ხარისხის აუდიტის სამსახურმა“, ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიამ“, ა(ა)იპ „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრმა“ და ა(ა)იპ „მართლმსაჯულების და დემოკრატიის განვითარების სააგენტომ“.

მეორე კანდიდატი — საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი რაულ გამისონია წარადგინა შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ აკადემიურმა და სამეცნიერო პერსონალმა.

მესამე კანდიდატი — შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის სამართლის სკოლის დეკანი სოფიო შენგელია წარადგინა შპს „კავკასიის უნივერსიტეტმა“.

მეოთხე კანდიდატი — საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, იურიდიული კომპანია „სამართლის სახლის“ ადვოკატი პაატა გაბელია წარადგინა ა(ა)იპ „სამართლებრივი სისტემის განვითარების კვლევითმა ცენტრმა“.

მეხუთე კანდიდატი — შპს „ჯი ფი აუთსორსინგის“ იურისტი ფიქრია ზირაქაშვილი წარადგინა ა(ა)იპ „სამართლებრივი სისტემის განვითარების კვლევითმა ცენტრმა“.

ანრი ოხანაშვილის შეურაცხყოფისთვის დაკავებულს 3-დღიანი პატიმრობა შეეფარდა

დეპუტატ ანრი ოხანაშვილის მიმართ შეურცხმყოფელი ქმედების გამო დაკავებულ ვახტანგ რობაქიძეს ადმინისტრაციული სამართლადარღვევისთვის 3-დღიანი პატიმრობა შეეფარდა. რაც შეეხება მუქარის მუხლით მიმდინარე გამოძიებას, დაკავებულს პროკურატურამ ბრალი უნდა წაუყენოს და ამის შემდეგ სასამართლომ მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე იმსჯელოს.

დილიდან პოლიტიკურ წრეებში ბაკურიანის ერთ-ერთ რესტორანში მომხდარ ინციდენტს აფასებენ. ოპოზიციასა და მმართველ გუნდში მომხდარ ფაქტს გმობენ, თუმცა „ქართული ოცნების“დეპუტატები აცხადებენ, რომ მსგავს პროცესებს სწორედ ოპონენტების მიერ გაკეთებული აგრესიული განცხადებები უწყობს ხელს. ვახტანგ რობაქიძე „ლელოს“ წევრია. შემთხვევა ბაკურიანის ერთ-ერთ რესტორანში 14 იანვარს მოხდა.

ქუთაისის პარლამენტის ყოფილი შენობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა

ქუთაისში მდებარე პარლამენტის ყოფილი შენობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე გადავიდა. აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს პირველ არხს სამინისტროში დაუდასტურეს.

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ მიმდინარეობდა ინვენტარიზაცია, რომელიც რამდენიმე დღის წინ დასრულდა და უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი, რა ფუნქცია და დატვირთვა ექნება ქუთაისში მდებარე პარლამენტის ყოფილ შენობას.

ქართული ჯარისთვის საქონლის გაყინული ხორცის მიმწოდებელი კომპანია დაჯარიმდა

თავდაცვის სამინისტროს შპს სახელმწიფო კვების კომპანიამ საქონლის გაყინული ხორცის მომწოდებელი კომპანია 2019 წლის ბოლოს ყველა მოწოდებულ პარტიაზე დააჯარიმა. ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

„თავდაცვის სამინისტროს მაკონტროლებელი სამსახურის მიერ სსიპ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გადაგზავნილ იქნა სხვადასხვა ობიექტებიდან ამოღებული გაყინული საქონლის ხორცის ნიმუშები.

აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, 2019 წლის 31 დეკემბრამდე თავდაცვის ძალების ხორცით მომმარაგებელი კომპანია (შპს საქართველოს მცენარეული ზეთების კომპანია „ქარვა“) ტენდერით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო, ყველა შემოტანილ პარტიაზე (3-ჯერ) დაჯარიმდა და პირგასამტეხლოს გადახდა დაეკისრა, რომლის ჯამურმა ოდენობამ — 124 950 ლარი შეადგინა. თავდაცვის სამინისტროში, ახალი სოციალური პოლიტიკის ფარგლებში, ერთ-ერთ ახალ პრიორიტეტულ მიმართულებად, საქართველოს თავდაცვის ძალებში კვებითი მომსახურების გაუმჯობესება იქნა დასახული. ამ მიმართულებით მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, უკვე განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. თავდაცვის სამინისტროში სხვადასხვა პროდუქციის ტენდერით შესყიდვისას ხარისხისა და გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი მომავალშიც მაქსიმალურად ეფექტურად განხორციელდება“, — აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.

„ჰუმან რაიოს ვოჩი“: ანგარიშები უანგარიშოდ!

ანგარიშში ნათქვამია, რომ **სამართალდამცავების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება მუდმივ პრობლემად რჩება.** ხელისუფლებამ 2018 წელს შექმნილი სახელმწიფო ინსპექტორის ოფისის ამოქმედება ორჯერ გადადო და მიზეზად სახსრების ნაკლებობა დაასახელა. ის საბოლოოდ 1 ნოემბერს ამოქმედდა. ინსპექტორის ოფისი, სამართალდამცავების და სხვა ოფიციალური პირების მიერ დაშვებული დარღვევების გამოსაძიებლად შეიქმნა.

ორგანიზაციის ანგარიშში აღწერილია თბილისში **20 ივნისს მომხდარი მოვლენები და ხელისუფლებას ადანაშაულებს იმაში, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობა მან მეტწილად ცალმხრივად გადაანაწილა.**

ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს **პროფკავშირთა კონფედერაციის მონაცემებით, წლის განმავლობაში, ოქტომბრის თვის ჩათვლით, სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების შედეგად 36 მუშა დაიღუპა და 107 დაშავდა.** საქართველოს შრომითი კანონმდებლობა საკმარისად არ აწესრიგებს სამუშაო საათებს, დასვენების დროს, ყოველკვირეულ დასვენებას და ღამის საათებში მუშაობას. ასევე, არ უზრუნველყოფს შრომის პირობებზე მთავრობის ზედამხედველობას. მაგალითად, მარგანეცის ზოგიერთ მაღაროში მუშები მიწის ქვეშ, 12-საათიან ცვლებში, მათ შორის ღამის საათებში, 15 დღის განმავლობაში უწყვეტად მუშაობდნენ, რაც იწვევდა გადაღლას და სამუშაო ადგილზე ავარიის და სხეულის დაშავების ალბათობის ზრდას.

მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამ საქართველოს მედია-სივრცე შეაზანზარა. „რუსთავი-2“ ყოფილ მფლობელს დაუბრუნდა და ამას ახალი ამბების რედაქციის თითქმის მთელი შემადგენლობის ტელევიზიიდან წასვლა მოჰყვა. აგვისტოში პროკურატურამ ყოფილი დირექტორის წინააღმდეგ საქმე აღძრა და მას **„თანამდებობის ბოროტად გამოყენებას“** ედავება.

სექტემბერში, „რუსთავი-2“-ის ყოფილმა დირექტორმა ახალი პრო-ოპოზიციური ტელევიზია „მთავარი არხი“ გახსნა და „რუსთავი-2“-ის ბევრი ყოფილი ჟურნალისტი და ტელეწამყვანი აიყვანა სამსახურში.

ხელისუფლებამ კიდევ ერთი კრიტიკულად განწყობილი ტელევიზიის, „ტვ პირველის“ დამფუძნებლის მამის წინააღმდეგ აღძრა საქმე და მას **„უკანონო შემოსავლის ლეგალიზებას“** ედავება.

ნარკოტიკთან დაკავშირებული სასამართლო დევნა კლებას განაგრძობდა, თუმცა ხელისუფლებამ ძალაში დატოვა მკაცრი კანონები, რომელიც ნარკოტიკის (მარიხუანას გარდა) მხოლოდ პირადი გამოყენების შემთხვევაშიც კი შეიძლება ადამიანების წინააღმდეგ სასამართლო დევნის დაწყების მიზეზი გახდეს.

ლგბტ აქტივისტების მიერ დაგეგმილი, საქართველოში პირველი მარში ღია ცის ქვეშ ვერ ჩატარდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ამ ღონისძიების ღია ცის ქვეშ ჩატარება, მასში მონაწილეებისათვის არსებული რისკების გამო ვერ მოხდებოდა. ლგბტ-მ საკუთარი ღონისძიებები დახურულ სივრცეში ჩაატარა. 8 ივლისს კი დაახლოებით 40-მდე ლგბტ აქტივისტმა და მხარდამჭერმა, ღია ცის ქვეშ მარში შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ ჩაატარა. **ნოემბერში თბილისში და ბათუმში ულტრა-ნაციონალისტურმა სიძულვილის ჯგუფებმა და მათ მხარდამჭერებმა, გეი-სიყვარულის თემაზე შექმნილი ფილმის ჩვენების წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები მოაწყვეს. პოლიციის ცნობით, 27 ადამიანი დააკავეს. ერთ მათგანს სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალი წაუყენეს.**

მარტში, ევროკავშირმა და საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ცხოვრებაში გატარების პროგრესი შეაფასეს. მხარეები მიესალმნენ **„სტრუქტურულ რეფორმებს და ხაზი გაუსვეს მიმდინარე რეფორმების მნიშვნელობას.**

აპრილში, საქართველოში ვიზიტის შემდეგ, გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფმა შრომითი ინსპექტირების რეგულირების ადეკვატურობის შესახებ შეშფოთება გამოთქვა.

მაისში გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში, გაეროს, ევროკავშირის, **აშშ-ს და ევროსაბჭოს თბილისის წარმომადგენლობებმა, საქართველოში ლგბტ ქიუაი+პირების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის და დისკრიმინაციის შეწყვეტისკენ მოუწოდეს.**

ივნისის განცხადებაში, აშშ-ის საელჩომ შეშფოთება გამოთქვა **„თი ბი სი“ ბანკის** დამფუძნებლის წინააღმდეგ კრიმინალური ბრალის წაყენების **„კონტექსტის და დროის შერჩევის“** თობაზე. ევროკავშირის საელჩომაც საქმის „გამჭვირვალედ“ წარმოების მოწოდება გააჟღერა.

საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდეს, ჟურნალისტების უსაფრთხოება ყოველთვის უზრუნველყოს. ევროკავშირის და აშშ-ის საელჩოებმა ნოემბერში ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნეს და აღნიშნეს, რომ საარჩევნო რეფორმის ჩავარდნის გამო ქართველი საზოგადოების ფართო სეგმენტი ღრმადაა გაწბილებული“და **„მშვიდი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული დიალოგისკენ“** მოუწოდეს.

მარტის სესიაზე მიღებული რეზოლუციით, გაეროს ადამიანის უფლებების საბჭომ შეშფოთება გამოთქვა საქართველოს კონფლიქტური რეგიონების, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მიმდინარე ე.წ. **„ბორდერიზაციის“** თაობაზე და გაეროს უმაღლესი კომისრის რეგიონში წვდომისკენ მოუწოდა.

საერთაშორისო კრიმინალური სასამართლო აგრძელებდა 2008 წლის ომის დროს ჩადენილი ომის დანაშაულების და ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიებას.

იანვარში, საქართველო და საერთაშორისო კრიმინალური სასამართლო შეთანხმდნენ, რომ სასამართლოს მიერ ნებისმიერ საქმეზე მსჯავრდებულ ადამიანებს სასჯელის მოხდა საქართველოში შეეძლოთ. ეს საკითხი, კონკრეტულ შემთხვევებში, სასამართლოს და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებს დაექვემდებარება.

გია მელიქიშვილი

რედაქციისგან:

ანგარიშები, იცოცხლე, არ გვაკლია. უანგარიშოდ გვაწვიმს თავზე. მაგრამ ავტორები უანგარიშოდ უწევენ ანგარიშს მხოლოდ და მხოლოდ არამზადა, ქართველი ხალხის მოღალატე ნაცების გაუმჭვირვალე გამჭვირვალობას. რასაც ის მისწერს ანგარიშმიუცემლად ამერიკისა თუ ევროპის ჩვენი ხელისუფლების მიმართ კრიჭაში ჩამდგარ ეგრეთ წოდებულ ორგანიზაციებს, ისინი უმალ თავიანთ შემაჯამებელ ანგარიშებს არქმევენ და დიდი ზარ-ზეიმით ავრცელებენ სოციალური ქსელით.

ყველას რა ჩამოთვლის! და აი ახლა „ჰუმან რაიოს ვოჩის“ 2019 წლის ანგარიში გამოჩნდა, რომელიც ვითომ საქართველოში ადამიანის უფლებების საკითხზე რამდენიმე მიმართულებით ამახვილებს ყურადღებას.

სუყოველ ანგარიშში, როგორც წესი, გამოყენებულია ძველი, გაცვეთილი პროპაგანდისტული ხერხი თუ ფანდი. ლაპარაკია, ვთქვათ, სამ მართალ ამბავზე იმისთვის, რომ ამ სამ მართალს ხუთი მამალი გაზვიადებული ტყუილი მოაყოლონ, რაც უფრო დამაჯერებელს ხდის წინა ნათქვამს.

განსაკუთრებით ხაზგასმულია „ლგბტ“-ს უფლებების დარღვევის საკითხი. „ლგბეტ“-ს აქტივისტებმა თურმე დაგეგმილი პირველი მარში ვერ ჩაატარეს, თანაც ღია ცის ქვეშ, ამიტომ იძულებული გამხდარან, რომ 8 ივლისს დახურულ სივრცეში ჩაეტარებინათ...

რა ხდება, რას უნდა მივაწეროთ როგორც „შინაური“, ეგრეთ წოდებული არასამთავრობოების, ისე ამ გარე ორგანიზაციების ასეთი ჯიუტი თავგამოდება „ლგბტ“-ს დასაცავად. ყოველ ანგარიშში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს რატომ უსწრებს „ლგბტ“-ს წარმომადგენელთა ვითომ შელახული უფლებების დაცვა?!

რა თქმა უნდა, ჩვენდა უნებურად ჩნდება აზრი, რომ ამ ეგრეთ წოდებულ შემაჯამებელ ანგარიშებს ჩვენი შინაური „ლგბტ“-ს წარმომადგენლები თვითონ გიგაურისა და ლომჯარიას მეთავეობით ჩვენს „პარტნიორ“, ანუ „მეგობარ“ „ლგბტ“-ს წარმომადგენლებთან ერთად თხზავენ ამ ერთობლივ ეგრეთ წოდებულ ანგარიშებს და უგზავნიან საერთაშორისო უსაქმო და უვიც, საქართველოს არმცოდნე ორგანიზაციებს!

სულგაყიდული და სინდისდაღამებულ ეშმაკთა ბნელი საქმისას რას გაიგებ?!

ანაკლიის პორტის გაურკვეველი მომავალი

„მე გამოვხატე იმედი, რომ საქართველო (ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის) პროექტს დაასრულებს. მისი განხორციელება გააძლიერებს საქართველოს კავშირს თავისუფალ ეკონომიკებთან და საქართველოს საშუალებას არ მისცემს, მოექცეს რუსეთისა და ჩინეთის ეკონომიკური გავლენის ქვეშ“, — განაცხადა სახელმწიფო მდივანმა **მაიკ პომპეომ** საქართველოს მაშინდელ პრემიერთან მამუკა ბახტაძესთან შეხვედრისას. ამერიკის პირველმა დიპლომატმა მკაფიო მესიჯით მოუწოდა თბილისს, პორტის პროექტი არ შეეჩერებინა.

თუმცა, ვაშინგტონის გზავნილის მიუხედავად, გასულ კვირას, საქართველოს მთავრობამ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ პორტის მშენებლობის კონტრაქტი შეუჩერა, რაც მრავალთა შეფასებით პროექტის ფაქტობრივ ჩავარდნას უდრის და მის მომავალს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. კითხვაზე, თუ როგორ აისახება ეს ნაბიჯი ორი ქვეყნის ურთიერთობაზე, ამერიკის ყოფილი ელჩი უკრაინაში **ჯონ ჰერბსტი** ამბობს, რომ ეს არა მარტო ვაშინგტონის უკმაყოფილებას გამოიწვევს, არამედ ასევე უარყოფითად აისახება საქართველოს ეკონომიკურ გარემოზე.

„ვაშინგტონი ამ ნაბიჯით უკმაყოფილო იქნება. ეს ერთპიროვნული გადაწვეტილებაა და ნამდვილად არ უწყობს ხელს საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. მიუხედავად იმისა, თუ რა იყო ამ ნაბიჯის მიზეზი: ის რომ (ბიძინა) ივანიშვილი რუსეთს აწონებს თავს, ან უბრალოდ სურს პროექტის შეჩერება, ეს ცუდ მესიჯს უგზავნის ინვესტორებს და იმ ადამიანებს, რომელთაც სურთ საქართველოში ნამდვილი ეკონომიკური რეფორმები და განვითარება იხილონ“, — ამბობს ჯონ ჰერბსტი, „ატლანტიკური საბჭოს“ ევრაზიის პროგრამების ხელმღვანელი.

ჰერბსტის თქმით, ამ საკითხს ამერიკის მთავრობა ქართველ პარტნიორებთან დააყენებს.

„ქართული ოცნების“ ოპონენტები გადაწყვეტილებას, ერთი ვერსიით, რუსეთის ინტერესებს, მეორე ვერსიით კი „თი-ბი-სი ჰოლდინგის“ თანადამფუძნებელთან მამუკა ხაზარაძესთან დაპირისპირებას უკავშირებენ. თუმცა მთავრობა კონსორციუმისთვის კონტრაქტის შეჩერების მიზეზზე საუბრისას ამბობს, რომ კონსორციუმმა „დაამტკიცა, რომ ვერ შეძლებს პროექტის განხორციელებას“.

„დღეის მდგომარეობით, ორ წელიწადზე მეტია, მრავალჯერ გადავადების მიუხედავად, კონსორციუმმა ვერ შეძლო საკუთარი ინვესტიციების მოზიდვა“, — განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **მაია ცძიტიშვილმა**, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარემ **არჩილ თალაკვაძემ** აღნიშნა, რომ „ანაკლიის ეკონომიკური პროექტი ბოლომდე მიყვანილი იქნება“.

ცქიტიშვილისგან განსხვავებით, „ქართული ოცნების“ წევრს, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარეს რომან კაკულიას მიაჩნია, რომ გადაწვეტილების უკან „რუსული საფრთხის თავიდან აცილების“ პოლიტიკა დგას.

თუ გადაწყვეტილების მიზეზი რუსული ფაქტორი, ან შიდა პოლიტიკური გათვლებია, ეს საკითხს „განსაკუთრებით პრობლემურს“ ხდის, — ამბობს **ჯონათან კაცი**, „გერმანიის მარშალის ფონდიდან“.

„ანაკლია საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობის, უსაფრთხოების და დასავლელ პარტნიორებთან გაღრმავებული ინტეგრაციისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროექტია. ეს პრიორიტეტული პროექტია თბილისის პარტნიორებისთვის, მათ შორის შეერთებული შტატებისთვის, რომელთაც სურთ ხელი შეუწყონ პირდაპირი ინვესტიციების და ვაჭრობის გაზრდას საქართველოსთან. განსაკუთრებით პრობლემური იქნება, თუ ანაკლიის გარშემო გადაწვეტილება მიღებული იქნა კრემლის ზეწოლის საფუძველზე ან შიდა პოლიტიკური გათვლებიდან გამომდინარე, რადგან საქართველო საჭიროებს ეკონომიკური მდგრადობის განმტკიცებას“, — ამბობს ის.

„საქართველოს აქვს შესაშური პოზიცია, რომ იქცეს კონტინენტზე ვაჭრობის ფასილიტატორად. საქართველო უნდა ეცადოს, თავიდან აიცილოს დამაზიანებელი ქმედებები, რამაც შესაძლოა, ინვესტორთა ინტერესი გაანელოს და ძალაუფლების გადამეტების შესახებ შეშფოთება გაზარდოს“, — ამბობს კაცი.

კაცის პოზიციას იზიარებენ სხვა მიმომხილველებიც ვაშინგტონში. ისინი პორტის რეგიონულ მნიშვნელობაზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ ანაკლიის პორტი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვისაც მომგებიანია. ამასთან, მათი თქმით, პორტის პროექტს, ვაშინგტონისთვის გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. პომპეოს განცხადება, ამბობს კარნეგის ფონდის მკვლევარი **პოლ სტრონსკი**, პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციისთვის ამ პროექტის მნიშვნელობაზე მიუთითებდა.

„პომპეოს მიერ ამის აღნიშვნა აჩვენებს, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხია შეერთებული შტატებისთვის, (პროექტში) ჩართული ამერიკელი ინვესტორებისთვის და საქართველოს იმიჯისთვის, როგორც დასავლისკენ მიმავალი რეფორმატორი, უსაფრთხო ქვეყნისთვის ბიზნესის საკეთებლად“, — ამბობს სტრონსკი. **„ტრამპის ადმინისტრაციის ერთ-ერთი მიმართულება რუსული და ჩინური გეოპოლიტიკური ინტერესების წინააღმდეგ წასვლაა და ამ პორტის ქონა ამერიკელი ინვესტორებით, (ვაშინგტონისთვის) მნიშვნელოვანია“,** — აცხადებს ის.

პორტის პროექტის წინაშე არსებულ გამოწვევებზე საუბრობს საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩი **უილიამ კორტნი**. ის ამბობს, რომ კონსორციუმს და პორტს, მის გარშემო განვითარებული მოვლენების მიღმა, სხვა ინფრასტრუქტურული, კომერციული და პოლიტიკური დაბრკოლებებიც აქვს. მისი თქმით, ესაა ტვირთბრუნვა, რკინიგზა და კონკურენცია ფოთის პორტთან. თუმცა კორტნის თქმით, ანაკლიის პორტს აქვს პოტენციალი, იყოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროექტი საქართველოსთვის, აზერბაიჯანისთვის და ცენტრალური აზიისათვის.

„იქნება, ეს ფოთის პორტის გაფართოება თუ ანაკლიის პორტის აშენება, ეს ძალიან კარგია მთელი რეგიონისთვის: ჩინეთის საზღვრიდან დაწყებული შავ ზღვაზე საქართველოს საზღვრით დამთავრებული. სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს შეიძლებოდა, ყოფილიყო წარმატებული პროექტი. თუმცა, ამას სჭირდება დიდი გადაწვეტილებების მიღება, რომელიც პროექტის კომერციული წარმატებისკენ უნდა იქნას გადადგმული და არა პოლიტიკური მიზნებისთვის“, — ამბობს უილიამ კორტნი.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმისთვის“ პორტის კონტრაქტის ჩამორთმევის გარშემო საუბარი უკვე დიდი ხანია, გრძელდება. გასული კვირის გადაწყვეტილებით „ქართულმა ოცნებამ“ ეს ნაბიჯი ოფიციალურად გადადგა. მოახერხებს თუ არა მთავრობა და კონსორციუმი პროექტზე შეთანხმებას, ამ დროისთვის უცნობია.

თუმცა, ვაშინგტონში, ანაკლიის პორტის გარშემო მიმდინარე მოვლენებმა და პოლიტიკურმა ნაბიჯებმა, საქართველოში ეკონომიკური გარემოს თავისუფლების შესახებ კითხვები გააჩინა.

ანი ჩხიკვაძე

მეიჯარეები მცირე სავაჭრო ცენტრებს ტოვებენ

თბილისში ყოველდღიურად მატულობს იმ მაღაზიების რაოდენობა, რომლებიც მუშაობას აჩერებენ. ამის მიზეზი კი გაძვირებული პროდუქცია და შემცირებული მყიდველია. მცირე მეწარმეები ახალი საქონლის შემოტანაზე აღარ ფიქრობენ. ამ ეტაპზე ისინი არსებული პროდუქციის რეალიზაციაზე ზრუნავენ.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, როგორ მუშაობენ თბილისში განთავსებული მცირე სავაჭრო ცენტრები და განვითარების რა პერსპექტივას ხედავენ?

როგორც აღმოჩნდა, საახალწლო პერიოდის მიუხედავად, მათ საქონლის რეალიზაცია გაუჭირდათ. სავაჭრო ცენტრ „პასაჟი 2000“-ში დასაქმებული მოვაჭრეები ამბობენ, რომ ბოლო წლებია, საქონლის რეალიზაცია და რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალიც მნიშვნელოვნად შეუმცირდათ. თუმცა, ყველაზე რთული პერიოდი წელს ჰქონდათ, რადგან მოვაჭრეების დიდი ნაწილი იჯარით აღებული ფართის გადასახადს ვერ იხდის. ნაწილი კი სავაჭრო ცენტრს ტოვებს.

მაღაზიებში არსებულ საქონელზე მომატებულ ფასებს, მოვაჭრეები იმ მიზეზით ხსნიან, რომ პროდუქციას დოლარში ყიდულობენ და ლარში ყიდიან. სავალუტო კრიზისის გამო კი მოგებას ვეღარ ნახულობენ.

სავაჭრი ცენტრ „პასაჟში“ მოვაჭრე თეა სეფიაშვილი ამბობს, რომ ბაზრობებსა და მოცულობით პატარა სავაჭრო ცენტრებში ყოველ წელს უარესდება მდგომარეობა. **„შარშანწინდელთან შედარებით შარშან უფრო ნაკლები მყიდველი გვყავდა, წელს კიდევ უფრო ნაკლები და მომდევნო თვეებში რა იქნება, არ მინდა წარმოვიდგინო. უამრავი ფინანსური ვალდებულება გვაქვს როგორც საბანკო, ასევე იჯარის სახით. გადახდას კი ვერ ვახერხებთ. ახალი წლის პერიოდს რაც შეეხება, საერთოდ არ გვიგრძნია, რადგან მყიდველი არ გვყავდა. რაც შეეხება ქირას, რომელსაც ფართში ვიხდით, არ გაგვზრდია, დირექცია შედის ჩვენს მდგომარეობაში და ყველანაირად ცდილობს, რომ არსებული იჯარა შეინარჩუნოს.“**

ანალოგიურ მდგომარეობაზე საუბრობს „პასაჟის“ კიდევ ერთი მოვაჭრე **დალი სანაია**. მისი თქმით, სარეალიზაციოდ საქონელი უმეტეს შემთხვევაში უცხოეთიდან შემოაქვთ და, შესაბამისად, დოლარს იხდიან. ფასებს ვერ ზრდიან, რადგან კლიენტი არ ჰყავთ. სანაიას თქმით, მისი კოლეგების დიდმა ნაწილმა ამ მიზეზის გამო სავაჭრო ცენტრი უკვე დატოვა.

„მიუხედავად იმისა, რომ იჯარის თანხა არ გაგვზრდია, იმასაც ვერ ვიხდი, რაც დაწესებული გვაქვს. მიზეზი უმუშევრობაა, ახალი წლის დღეებშიც კი არ გვიმუშავია, რომ სხვა დღეები გადაეწონა. გაუფასურებული ლარის პირობებში ვერც მყიდველი ახერხებს საჭირო ნივთის შეძენას და ვერც ჩვენ გაყიდვას. ამას ემატება დიდი სავაჭრო ცენტრები, კონკურენციის გამო მყიდველთა რაოდენობა შეგვიმცირდა. ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში რამდენიმე თანამშრომელმა საერთოდ დაკეტა სავაჭრო ობიექტი“ — ამბობს ლილი სანაია.

„კომერსანტი“ სავაჭრო ცენტრ „პასაჟი 2000“-ის დირექტორს დაუკავშირდა იმის გასარკვევად, ახერხებენ თუ არა მეიჯარეები იჯარის გადახდას და ლარის გაუფასურების გამო, გაეზრდებათ თუ არა ქირის ფასი. „პასაჟი 2000“-ის დირექტორი **ნიკოლოზ საღარაძე** გვპასუხობს, რომ მეიჯარეებს ყველანაირად ხელს უწყობენ. მისი თქმით, არ გაზრდიათ ქირის ხარჯი და არც სამომავლოდ იგეგმება, რადგან მოვაჭრეებს არსებული იჯარის დაფარვაც უჭირთ.

ნათია ლომიძე

მაღალმთიან კურორტებზე ავსტრიული კომპანიით

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საქალაქო ავიაციის სააგენტომ ავსტრიულ კომპანიაზე — **Wucher Helicopter Gmbh** ზამთრის საკურორტო ზონებში ფრენების განხორციელების ნებართვა გასცა.

სააგენტოში შემოტანილი განაცხადის მიხედვით, **Wucher Helicopter Gmbh** მიმდინარე წლის 15 აპრილამდე გოდერძის, მესტიის და ყაზბეგის ზონაში განახორციელებს ოპერირებას, კერძოდ კი სამი ერთეული **AS 350 B3 Ecureuil**-ის ტიპის თანამედროვე ვერტმფრენებით „ჰელი სქიინგ“ ტურებს მოემსახურება. ფრენები 18 იანვრიდან სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ზონაში ოპერირებით დაიწყება.

ფრენები დაიშვება ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში, ვიზუალური ფრენის წესებით (**VFR**).



2010-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკის ზრდა შენელდა. 2000-იან წლებში ეს მაჩვენებელი 5%-ს აღემატებოდა, 2012 წლიდან კი 4%-ზე მეტი არასდროს ყოფილა. 2019 წელს მსოფლიო ეკონომიკის ზრდამ (2008-2009 წლების გლობალური კრიზისის შემდეგ პირველად) 3% შეადგინა. ზრდის ტემპი ნელი იყო როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ეკონომიკისთვის. ამ ყველაფრის ფონზე რამდენიმე ქვეყანამ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი მაინც შეინარჩუნა. გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება განვითარდე ყველასთვის რთულ დროს.

რა ელის მსოფლიო ეკონომიკას მომავალ ათწლეულში?

რა კრიტერიუმებით შეირჩნენ ეს ქვეყნები?

ერთადერთი კრიტერიუმი იყო ბოლო ათწლეულის განმავლობაში (2010-2019 წლები) ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა. სწორედ ეს მაჩვენებელი ასახავს ეკონომიკის მთლიან ფაქტორულ პროდუქტიულობასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, ამ ჩამონათვალში მოხვედრილი ქვეყნები (ბოლო ათწლეულის განმავლობაში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდის მიხედვით) ლიდერი ქვეყნების ოცეულში შედიან.

ეთიოპია

– ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 193 პროცენტი!

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, ეთიოპია, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდის მიხედვით, აბსოლუტური ლიდერი გახდა. 2000-იანი წლებიდან ქვეყნის ეკონომიკამ ზრდა უკიდურესად დაბალი პოზიციიდან დაიწყო. ამ დროს ეთიოპია წარუმატებელი სოციალისტური ექსპერიმენტის, ათწლიანი სამოქალაქო ომისა და ერითრეის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ძალების აღდგენას ცდილობდა. ხელისუფლებამ საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და აფრიკის ღარიბ ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულებით იხელმძღვანელა. მთავრობამ მიღებული თანხით გზების, საავადმყოფოებისა და სკოლების მშენებლობა დაიწყო, აქცენტი გაკეთდა ინფრასტრუქტურის სხვა სფეროების მოწესრიგებაზეც. ამავე პრინციპით იხელმძღვანელეს სხვა აფრიკულმა ქვეყნებმაც, მაგრამ მათ კერძო ბიზნესის განვითარება დაიწყეს, ეთიოპიაში კი პრიორიტეტი სახელმწიფო ინვესტიციებს მიენიჭა. ამის შედეგი იყო ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ზრდის მაღალი ტემპი, ძლიერი ინფლაცია და სახელმწიფო ვალის საგანგაშო ნიშნული. ამ ყველაფრის პარალელურად კი, კერძო ბიზნესის ზრდა მაღალი გადასახადებით ფერხდებოდა.

ქვეყანა ვალების კრიზისში რომ არ აღმოჩენილიყო და ადგილობრივი ვალუტის კურსი შენარჩუნებულიყო, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2019 წლის დეკემბერში ეთიოპიას 3 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის სწრაფი კრედიტი მისცა. სანაცვლოდ კი ეთიოპიის ხელისუფლებამ ეკონომიკაში თავისი წილი შეამცირა და ბიზნეს-კლიმატი გააუმჯობესა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა აზრით, უახლოეს მომავალში ქვეყნის ეკონომიკის ზრდის სწრაფი ტემპი შენარჩუნდება, თუმცა თუ რეფორმები არ გატარდება, ამან შეიძლება კრიზისი გამოიწვიოს. მიუხედავად მიღწეული ტემპისა, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი, აფრიკული ქვეყნების უმრავლესობასთან შედარებით, ეთიოპიაში მაინც დაბალია.

ჩინეთი

– ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდა 180 პროცენტი!

ეკონომიკის ზრდის მიხედვით, ერთ-ერთ ლიდერად ისევ ჩინეთი რჩება. მას მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკის პრეტენზია უკვე აქვს, თუმცა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მიხედვით რუსეთსაც კი ჩამორჩება (მაგრამ ეს სხვაობა სწრაფად მცირდება).

2000-იან წლებში ჩინეთი ძირითადად წარმოებაზე იყო ორიენტირებული. ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალას ურბანიზაცია და უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა. ქვეყნის მოსახლეობა ღარიბი სოფლებიდან გადასახლდა ქალაქში, სადაც ფაბრიკები იხსნებოდა. ისინი უცხოური კომპანიებისთვის მუშაობდნენ. ჩინეთის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი იყო მოსახლეობის კეთილდღეობის და შესაბამისად, შიდა მოთხოვნის ზრდა. 2010-იან წლებში ქვეყნის ხელისუფლება სწორედ ამ უკანასკნელზე ორიენტირებას შეეცადა. ამისათვის სახელმწიფომ დაავალდებულა უცხოური კომპანიები, ჩინურ ორგანიზაციებთან ერთობლივი საწარმოები შეექმნათ. ამ ინიციატივის მიზანი იყო ის, რომ ქვეყანას ტექნოლოგიებზე წვდომა მიეღო და მხოლოდ მზა დეტალებისგან საექსპორტო საქონლის შექმნით არ დაკმაყოფილებულიყო. ჩინეთის ხელისუფლებამ გარკვეული ინვესტიციები მეცნიერებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაშიც ჩადო. შემუშავდა პროგრამა „დამზადებულია ჩინეთში – 2025“, რომლის წყალობითაც ქვეყანა ტექნოლოგიების მსოფლიო ლიდერობას უმიზნებს.

2008-2009 წლების კრიზისის შემდეგ ჩინეთის ეკონომიკის განვითარება შეფერხდა, მაგრამ არც ისე ძლიერად. ქვეყანაში შეიქმნა ბევრი მიმართულება, რაც ექსპორტზე აისახა. მართალია, ტექსტილის წილი შემცირდა, სამაგიეროდ, მანქანათმშენებლობისა და ელექტრონული პროდუქციის მაჩვენებელი სწრაფ ზრდას განაგრძობდა. ამასთან, ათწლეულის ბოლოს ჩინეთს დიდი პრობლემა შეექმნა. ეს აშშ-თან სავაჭრო ომითა და შესაძლოა, საკუთარი ვალების კრიზისით იყო განპირობებული. თუმცა მომავალი ათწლეულის პროგნოზი ჩინეთისთვის რადიკალურად განსხვავებულია: ღრმა კრიზისიდან ეკონომიკის სწრაფი ზრდის გაგრძელებამდე.

მიანმარი, ლაოსი და კამბოჯა

– ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდა 167, 164 და 162 პროცენტი!

ინდოჩინეთის სამი ქვეყანა „აზიური ვეფხვების“ კვალს მიჰყვება. ტაილანდსა და ვიეტნამში შრომის ანაზღაურებამ იმ დონეს მიაღწია, რომ უცხოური კომპანიებისთვის იაფფასიანი საწარმოების განთავსება (უპირველეს ყოვლისა, ტანსაცმლის წარმოება) უკვე აღარ არის შესაძლებელი. მაგალითად, ვიეტნამის ეკონომიკა ამჯერად ელექტრომოწყობილობების წარმოებაზეა ორიენტირებული. ამ მიმართულებით მას ეხმარებიან ჩინური კომპანიები, რომელთათვისაც დეტალების ჩინეთში წარმოება ძალიან ძვირი ჯდება. ამიტომ ქსოვილისა და ტანსაცმლის დამზადებამ უფრო ღარიბ მეზობელ ქვეყნებში – ლაოსში, მიანმარსა და კამბოჯაში გადაინაცვლა.

ამ სამი ქვეყნიდან თითოეულს თავისი როლი აქვს. მაგალითად, მიანმარი ჩინეთსა და ტაილანდს გაზს აწვდის, ლაოსი კი – ელექტროენერგიას (მდინარე მეკონგზე აგებული ჰიდროელექტროსადგურით). თუმცა მათი ეკონომიკის ზრდა სრულად არის დამოკიდებული ტექსტილის ახალ უცხოურ ფაბრიკებზე, ასევე – ზრდის ტემპის სტაბილურობაზე ჩინეთსა და ტაილანდში, რომლებიც მათი მთავარი სავაჭრო პარტნიორები და, ამავდროულად, ინვესტორები არიან.

ბანგლადეში და ინდოეთი

– ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდა 166 და 162 პროცენტი!

ორ მეზობელ ქვეყანას ეკონომიკური ზრდის თითქმის ერთნაირი ტემპი აქვს, თუმცა მათი სამომავლო პროგნოზები განსხვავებულია. 21-ე საუკუნის დასაწყისში ინდოეთი ამ მიმართულებით ერთ-ერთი ლიდერი იყო და მასზე მსოფლიო ფინანსური კრიზისი თითქმის არ მოქმედებდა. თუმცა ახალი ათწლეულისთვის ქვეყანა წინაკრიზისულ მდგომარეობას უახლოვდება. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ზრდის ტემპის მთავარი მამოძრავებელი კომპონენტები – შიდა მოთხოვნა და კერძო ინვესტიციები უკვე ჩავარდნილია. ამავდროულად, ინდოეთში მშპ-ს მაჩვენებელი 2019 წელს, ბოლო წლების განმავლობაში, ყველაზე დაბალი – 4,5%-ი აღმოჩნდა. შედარებისთვის, ანალოგიური ინდიკატორი ინდოეთში ერთი წლის წინათ 7%-ს შეადგენდა. ინვესტიციების ზრდას ხელს უშლის სახელმწიფო და კერძო სექტორის ვალები, რამაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საგანგაშო ნიშნულს მიაღწია.

ინდოეთის მეზობელ ქვეყნებში (ბანგლადეში, შრი-ლანკა, ნეპალი), რომლებიც 2010-იან წლებში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდის მიხედვით ასევე ლიდერები იყვნენ, ჯერჯერობით კრიზისის ნიშნები არ არის. შესაძლოა, ამის მიზეზი ის იყოს, რომ მათი ეკონომიკა გაცილებით მარტივად არის აგებული, ვიდრე – ინდოეთის. თუკი ეს უკანასკნელი ძირითად აქცენტს მაღალ ტექნოლოგიებზე (კომპიუტერული პროგრამები და მედიკამენტები) აკეთებდა, მისი მეზობლები სოფლის მეურნეობიდან ტექსტილის წარმოებაზე გადასვლას დაჯერდნენ.

რამდენიმე საუკუნის წინათ, ბანგლადეში მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ დიდი ბრიტანეთის მმართველობის პერიოდში მისი ტოტალური დეინდუსტრიალიზაცია მოხდა. მხოლოდ ბოლო წლებში შეძლო მან მსოფლიო დონის „სამკერვალო სახელოსნოს“ წოდების დაბრუნება. ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკის ზრდა აქ 7%-ზე მაღალ მაჩვენებელზე შენარჩუნდება, მიუხედავად იმისა, თუ რა პროცესები წარიმართება ინდოეთში.

მონღოლეთი

– ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდა 165 პროცენტი!

2010-იან წლებში იზრდებოდა მონღოლეთის ეკონომიკაც, რომელიც სუფთა სასაქონლო ეკონომიკის არც თუ ისე ბევრ მაგალითთაგან ერთ-ერთია. მისი ექსპორტის ძირითადი საგანია სპილენძი, რომლის მომხმარებელია სწრაფად განვითარებადი ელექტრონული წარმოება დასავლეთსა და ჩინეთში. ლითონის ფასი უკვე თითქმის 15 წელია, რაც მაღალია (თუ არ ჩავთვლით 2008-2009 წლების კრიზისის დროს ვარდნას). ამასთან, მონღოლეთის ყოველი მეოთხე მცხოვრები მესაქონლეობით არის დაკავებული. ერთი შეხედვით, აქაც ზრდა შეინიშნება: 2010-იან წლებში ცხვრის რაოდენობა მრავალჯერ გაიზარდა. თუმცა სწორედ ამას შეუძლია ქვეყანაში კრიზისის გამოწვევა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, მესაქონლეობის ზრდის სწრაფმა ტემპმა ნიადაგი გამოაშრო, რასაც შესაძლოა, ეკოლოგიური კატასტროფა მოჰყვეს.

ირლანდია

– ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდა 162 პროცენტი!

ირლანდია არის ევროკავშირის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდის მიხედვით, პირველ ათეულზე მოხვდა. ამავდროულად, 2019 წლის ზრდის კოეფიციენტი 4%-ზე ოდნავ მაღალი იქნება. ანალოგიური მაჩვენებელი იყო წინა წლებშიც, გამონაკლისი მხოლოდ 2015 წელს დაფიქსირდა. ამ დროს მშპ ირლანდიაში 26,3%-ით გაიზარდა, რაც განვითარებული ეკონომიკისთვისაც კი აბსოლუტური რეკორდი იყო.

განათლებისა და ინფრასტრუქტურის მაღალი დონის პარალელურად, დაბალმა გადასახადებმა მიიპყრო ისეთი მსოფლიო კომპანიის ყურადღება, როგორიც არის Intel-ი. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, თავისი წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი ირლანდიაში გადაეტანა. ეკონომისტების შეფასებით, ამ პიკის გათვალისწინებით, მშპ-ს ზრდა 6,5%-ს არ აღემატება. თუმცა ამ შედეგმაც კი ირლანდიას შესაძლებლობა მისცა, ზრდის ჩინურ ტემპს მიახლოებოდა.

საქართველო

– ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდა 153 პროცენტი!

ბოლო ათწლეულში გატარებულმა რეფორმებმა საქართველო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდამდე მიიყვანა, რაც 2017 წლამდე გაგრძელდა. 2018-2019 წლებში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდა 4%-ზე მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა. 2019 წელს კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი შემცირდა. სხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორებთან ერთად ეს გამოიწვია 2018 წელს ნავთობსადენის მშენებლობის დასრულებამაც, რომლის ინვესტორიც ბრიტანული BP იყო. უცხოური ინვესტორების ხუთეულის ლიდერი დიდი ბრიტანეთია. საქართველოში მთავარ მიმართულებებად ტურიზმი და სოფლის მეურნეობა რჩება.

ბალტიისპირეთის ქვეყნები

ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდა ლიტვაში – 53%, ლატვიაში –150%, ესტონეთში კი140%-ია. ამ მიმართულებით ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროკავშირში მხოლოდ ირლანდიას ჩამორჩებიან. აფრიკის ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ქვეყანა რუანდაში კი მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი 151%-ია.

IMEDINEWS.GE

„სასარგებლო იდიოტები“

რუსული აგენტურა და 10 საქმე 7 წელიწადში: საქართველომ ნდობა დაკარგა?

რეგიონში რუსეთის ფედერაციის მხრიდან გამოხატული ინტერესის, მზარდი გავლენის, დასავლეთის რიგი ქვეყნების არჩევნებში რუსეთის ჩარევის შესახებ ღია საუბრის და კონკრეტული მკვლელობებისა თუ მკვლელობის მცდელობებში მისი სპეცსამსახურების კავშირის გამოვლენის, უშუალოდ საქართველოში კი ხელისუფლების ჩრდილოელ მეზობელთან კოლაბორაციაში დადანაშაულების, ქართველი სამხედროების პერსონალური მონაცემების გაჟონვის, მკვლელობის მცდელობებისა, თუ საეჭვო გარდაცვალებების შესახებ (ხანგოშვილისა და კოდორის სპეცოპერაციის მონაწილეთა საქმეები) გამოთქმული ეჭვების ფონზე, „აქცენტი“ დაინტერესდა, როგორ, რამდენად ეფექტურად ებრძვის საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ამ იარაღს – სპეცსამსახურს და კითხვით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მიმართა, ვინაიდან კონტრდაზვერვითი საქმიანობა სწორედ ამ უწყების პრეროგატივაა. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ 2016 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების იმჟამინდელი და აწ უკვე შს მინისტრი „გვამშვიდებდა“, „საქართველოში არა მხოლოდ რუსული, არამედ მეზობელი და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებიც მუშაობენო“.

ბუნებრივია, არ გვქონდა მოლოდინი, რომ უწყების ჩაკეტილობისა და თავად საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, უსაფრთხოების სამსახურიდან დეტალურ ინფორმაციას მივიღებდით, ამიტომ მხოლოდ ზოგადი მონაცემები გამოვითხოვეთ.

კითხვები:

1. 2012 წლიდან დღემდე რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში რამდენი პირი და ორგანიზაცია იქნა მხილებული?

2. მხილების შემთხვევაში რა ზომები გატარდა?

3. ბრალის წარდგენამდე რამდენი პირის საქმე მივიდა?

4. რატომ არ განსაჯაროვებულა არც ერთი კონკრეტული საქმე?

და უწყებიდან კიდევ უფრო ზოგადი, თუმცა მაინც საინტერესო **პასუხი** მივიღეთ:

„უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ საქართველოში განხორციელებული სავარაუდო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, 2012 წლიდან დღემდე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამოძიება დაიწყო 10 სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სსკ-ის 314-ე მუხლის პირველი ნაწილით (უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან მათი წარმომადგენლისთვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა ან გადაცემა, ანდა გამოძალვა ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა. ისჯება12 წლამდე პატიმრობით) და 319-ე მუხლით (უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარება. ისჯება 15 წლამდე პატიმრობით) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (რედ. არ არის დაზუსტებული, რომელი ქვეყნის, ან ქვეყნების სასარგებლოდ ჯაშუშობაზეა საუბარი). აღნიშნული საქმეები შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას, შესაბამისად, მათი გასაჯაროება არ მოხდა. ამასთან, გარდა ზემოაღნიშნულისა, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ტარდება კონტრდაზვერვითი ღონისძიებები არაერთი პირის მიმართ, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია, კანონმდებლობის შესაბამისად მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, განვახორციელოთ ამ ინფორმაციის გასაჯაროება“.

შენიშვნა: სისხლის სამართლის საქმის აღძვრა გულისხმობს გამოძიების დაწყებას და არა აპრიორი კონკრეტული პირების გამოვლენას. გამოვლენასა და ბრალის წარდგენაზე მოწოდებულ ინფორმაციაში არაფერია ნათქვამი, მიუხედავად კითხვისა. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბრალის წარდგენამდე საქმე არ მისულა, ან უკეთეს შემთხვევაში, მიმდინარეობს დაკვირვება, თუ საერთოდ იქნა ვინმე, ან რომელიმე ორგანიზაცია გამოვლენილი.

კიდევ ერთი შენიშვნა: „აქცენტმა“ გამოითხოვა სტატისტიკა, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობასთან დაკავშირებით, ხოლო სუსი ზოგად მუხლს მიუთითებს. ამდენად, ამ შემთხვევაშიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ხსენებული 10 სისხლის სამართლის საქმე ეხება არა მხოლოდ რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობას.

„ეს მონაცემები არაადეკვატურია იმ გეოპოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, რომელშიც საქართველოს უწევს ცხოვრება“,– ამბობს „აქცენტთან“ საუბრისას უსაფრთხოების ექსპერტი **ბესო ალადაშვილი.**

ბესო ალადაშვილი: ვიცით, რომ საქართველოში აქტიურად მოქმედებენ როგორც საქართველოს წინააღმდეგ, ეკონომიკური პოლიტიკის, თუ სამხედრო საიდუმლოების ხელში ჩასაგდებად სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები, მათ შორის მეზობელი ქვეყნების. რუსეთთან ერთად არ უნდა გამოგვრჩეს თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და ირანის სპეცსამსახურები. განსაკუთრებით გამოვყოფდი ირანისა და რუსეთის სპეცსამსახურებს, რადგან რიგ შემთხვევებში ისინი შეესაძლოა, უნისონში მოქმედებდნენ. თქვენს მიერ მოყვანილი სტატისტიკა კი მეტყველებს, რომ ჩვენს სპეცსამსახურებს ან პროფესიონალიზმი არ ჰყოფნით ან სხვა პრობლემებია და სათანადოდ ვერ აწარმოებენ კონტრდაზვერვით საქმიანობას.

ევროპის შემთხვევაში არა მხოლოდ არჩევნებში ჩარევა, სპორტიც სტრატეგიული მიმართულებაა და უკვე ისიც წარმოადგენს რუსეთის ეროვნული ინტერესების ერთ-ერთ გამომხატველ დარგს. მკითხველისთვის შესაძლოა, წარმოუდგენელი იყოს, მაგრამ რუსული სპეცსამსახურები მუშაობენ ყველა მიმართულებით: სპორტი, კულტურა, რელიგია, განათლება, თავდაცვა და უსაფრთხოება, ეკონომიკა და ფინანსები. რუსეთისთვის არსებობს პირველადი მიზნები – თავდაცვა და უსაფრთხოება, შემდეგ კი მოდის ეკონომიკა და ფინანსები და ა.შ. ამდენად არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც რუსეთი მოქმედებს ღრმა, გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლით. არ უნდა გამოგვრჩეს ისრაელიც, თუმცა ირანი, თურქეთი, სომხეთი, ისრაელი გარკვეულწილად ურთიერთსაწინააღმდეგო ოპერაციებს გეგმავენ საქართველოს ტერიტორიაზე და არ არის გამორიცხული, მათ საქართველოს მოქალაქეებიც ჩააბან პროცესში.

– ამ სტატისტიკის გათვალისწინებით შეიძლება, დავუშვათ, რომ რუსული სპეცსამსახურებისთვის საქართველო არ იყოს საინტერესო?

– ეს გამორიცხულია: მე ყოველთვის რუსეთის დღევანდელ და საბჭოთა კავშირის ხელისუფლებებს შორის ვავლებ პარალელს, მათ შორის სპეცსამსახურების დაფინანსების კუთხით. ეს ერთი ერთში მეორდება. ქვეყანა შეიძლება, შიმშილობდეს, მაგრამ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე რუსეთში სპეცსამსახურებისა და თავდაცვისთვის ფულს არ იშურებენ. უბრალოდ არის დომინანტი, სტრატეგიული ქვეყნები და შესაძლოა, შემდეგ ჩვენ ვართ. საქართველო მათთვის საინტერესო იმიტომაა, რომ სამწუხაროდ, აქ მათი სპეცსამსახურების მუშაობა, ჩვენგან ინფორმაციის გატანა, მათ შორის ნატოს ქვეყნების შესახებაც, ძალიან იოლია.

– იოლი რატომაა?

– თუნდაც იმიტომ, რომ კონტრდაზვერვის დონე ძალიან დაბალია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საკადრო პოლიტიკა. ჩვენ შემთხვევაში სპეცსამსახურებშიც ეს პოლიტიკა მიბმულია ერთგულებაზე, პარტიულ კუთვნილებაზე. პროფესიონალიზმს, კვალიფიკაციას, მოტივაციას არ ექცევა ყურადღება. ვფიქრობ, მათ შორის ე.წ. სპეციალური შემოწმება სათანადოდ არ ხორციელდება, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი კონკრეტული პირის დაშვება საიდუმლო ინფორმაციაზე. ამდენად, მუდმივად არის საფრთხე, რომ სხვა ქვეყნის, მათ შორის რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომელმა, აგენტმა ან ნდობით აღჭურვილმა პირმა, ან სულ მცირე, „სასარგებლო იდიოტმა“ შეძლოს სპეცსამსახურში შესვლა და გარკვეულ თანამდებობამდე მიღწევა. არსებობს კიდევ ერთი მიმართულება – ხელშეწყობა დაწინაურებაში. თავად ზრდიან კადრებს და არ გამოვრიცხავ, რომ დიდი არეულობის დროს, 2004-2005 წლებში, როდესაც „ნაციონალებმა“ ჩაატარეს „წმენდა“, ყველა ძველი კადრი გაუშვეს სამსახურიდან, ახლების ფონზე მოვიდნენ გადაბირებული კადრები, ან შემდეგ მოხდა მათი გადაბირება. ეს არის ყველა ქვეყნის ზოგადი სტრატეგია და რუსეთი ამას რატომ არ განახორციელებს?

– როდესაც ვამბობთ, რომ ქვეყანა ინფორმაციის გამტარია, რაიმე ხელჩასაჭიდი, კონკრეტული ფაქტი გვაქვს?

– პარალელები შეგვიძლია, გავავლოთ. ავიღოთ ესტონეთის მაგალითი: 2006 წელს ესტონეთში დააკავეს პირი, პოლკოვნიკი, ნატოსთან ურთიერთობის მეკავშირე. დაახლოებით 10 წელი მუშაობდა რუსეთის დაზვერვაზე. ბევრჯერ იმყოფებოდა საქართველოში და გაჰქონდა ინფორმაციები როგორც საქართველო-ნატოს ურთიერთობაზე, ისე ნატოს შიდა სამზარეულოზე. მსგავსი პირები შესაძლოა, იყვნენ საქართველოშიც, რომლებიც მიზანმიმართულად ჩაინერგებიან ნატოს ან ევროსტრუქტურებში. ამიტომაა, რომ ჩემი ინფორმაციით, პარტნიორები თავს იკავებენ და განსაკუთრებით სტრატეგიულ მონაცემებს ბოლომდე არ ამხელენ. ეს ბუნებრივია, ვინაიდან ნდობის ფაქტორი ჩვენდამი დაბალია. იგივე შეერთებული შტატები ყოველთვის თავს იკავებდა საქართველოსა და სხვა მეკავშირეებისთვის თანამედროვე იარაღის მიყიდვისგან. იმიტომ, რომ იყო მაღალი ალბათობა, იარაღი მოწინააღმდეგეს ჩაეგდო ხელში. იგივე ეხება ინფორმაციასაც. აქ მნიშვნელოვანია ნდობის ფაქტორი და საიდუმლოების დაცვის ხარისხი პარტნიორ ქვეყანაში.

– ანუ საქართველო შემჩნეულია ინფორმაციის ნებსით თუ უნებლიეთ გაცემაში?

– უფრო რბილად ვიტყვი, არსებობს საფრთხე, როგორც საქართველოს, ისე სხვა არაწევრი, მათ შორის წევრებისგანაც ინფორმაციამ გაჟონოს.

– მაგრამ ამ საფრთხეს კონკრეტული გარეგნული ქმნის...

– ბუნებრივია. მათ შორის საიდუმლოს დაცვის ხარისხის ნაკლები მოთხოვნადობა, საკადრო პოლიტიკის მანკიერი მხარე... რა გახდა „პოლიგრაფის“, იგივე „სიცრუის დეტექტორის“ დანერგვა.

ACCENTNEWS.GE

აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას მიმართავს

მოვუწოდებთ დე ფაქტო ხელისუფლებას, მისცეს ადგილობრივ მოსახლეობას შიშისგან თავისუფალი ცხოვრების საშუალება, – ამის შესახებ ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ელიზაბეთ რუდმა გორის მუნიციპალიტეტში, გამყოფ ხაზთან მდებარე სოფელ ქვეშში რეაბილიტირებული საჯარო სკოლის გახსნის ღონისძიებაზე განაცხადა. მან სოფლის მცხოვრებლებს სკოლის გახსნა მიულოცა და ფინანსური დახმარებისთვის დონორ ორგანიზაციებს მადლობა გადაუხადა.



ძვირფასო რედაქცია! შეპირებისამებრ გიგზავნით საბოლოოდ შეჯერებულ და შეკვეცილ ვარიანტს. აბა, ჰე და აბა, ჰო! თავის ქება არ მინდა გამომივიდეს, მაგრამ ბევრი რამ არის მასში ისეთი, „რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ“. თუნდაც ის, რომ **ეკლესიასტე კი არ არის, როგორც ბერძნები გვარწმუნებდნენ,** არამედ **კოჰელეთია,** რომელიც იყო რეალური პიროვნება და მეფობდა იერუსალიმში. ეს იყო იმავე პერიოდში, როდესაც 12 ტომად გაერთიანებულ ისრაელს განაგებდა მისი უფროსი ძმა სოლომონ ბრძენი, მასავით დავითის ძე. არც ის „პარალელური ვარიაციაა“ შემთხვევითი, რაც ოსურ „სირჩას“ უკავშირდება, რამეთუ სამაჩაბლოში, განსაკუთრებით ცხინვალში ცხოვრობდა ქართველ ებრაელთა ერთ-ერთი გამორჩეული თემი, რომელიც საუკეთესოდ აბალანსებდა ამ კუთხის ყოფას ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ, მათი წასვლის შემდგომ კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, რამეთუ „უბედურია ქვეყანა, სადაც მეფე უწვრთნელი ყმაწვილია“. ფრიად საყურადღებოა შეხსენება რუსთველის ძვალშესალაგზე — იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტრის თაობაზე. ის დარჩა ერთადერთად იმ მრავალთაგან, სადაც გოლგოთის გზაზე მაცხოვარმა შეისვენა და მოგვიანებით ყველა მათგანთან აღიმართა ქართული ტაძრები. ერთ-ერთსავე ტაძარშიც (მაცხოვრის საფლავზე მსოფლიოს ქრისტიანულ ტაძარში) იყო ქართული ეკლესია, რომელსაც ამჟამად სომხები განაგებენ. აღსანიშნავია ის ამბავიც, რომ ისრაელის ქნესეტი იმ მიწაზეა, რომელიც ქართულ „ჯვრის მონასტერს“ ეკუთვნოდა. ეს მიწა-წყალი ქართველებით იყო დასახლებული. ისინი უვლიდნენ და მტრისგან იცავდნენ რუსთველის სამუდამო განსასვენებელს — ჯვრის მონასტერს....

სიტყვათაგან კოჰელეთისა, დავითის ძისა, იერუშალაიმის მეფისა

ვუძღვნი კოჰელეთისათვის სახელის დამბრუნებელსა და ქართულად ამმეტყველებელ თამარ მამისთვალოვს

ამაოება ამაოებათა

ღმერთო, შემინდე, სიმართლის თქმა რადგან მწყურია,
აღარც კი მახსოვს, რას ვეძახდი დიოსკურიას,
სახელის შეცვლას ბერძენს მოასწრებ?
დაეპატრონა ჩვენს „ჯვრის მონასტერს“;
შეედავები სხვასაც რომელ ერთს,
ვინც ამირანად მიაჯაჭვა მთაზე პრომოთე
და დავითის ძე მოგვინათლა ეკლესიასტედ?!
ვხედავ კოჰელეთს, მას სულ სხვა აქვს იერი სალმის,
მიამბობს: **მორჭმით განვაგებდი იერუსალიმს.**
ყმა და სიმდიდრე არ მაკლდაო დავითის ძესა,
მაგრამ სიბრძნე რომ გავიხადე ცხოვრების წესად,
იმედს სუდარა გადეფარა შავი მუარით,
რადგან ამქვეყნად ყველაფერი ამაო არი!

ოცნებათა იალქნები

ხმელთაშუა ზღვის თავზე ცას „ბოინგით“ მივსერავ,
გულით ვამბობ სიმართლეს, „საამოა მზის მზერა“,
მოლოდინის საწყაო ნეტარებით ივსება;
ვის შევხვდები, ვის — ვერა?
ძმურად, განა ისე რა!

დაშვება აეროდრომის ბილიკზე

განიფანტა ყველა ქუში,
რაც წამომყვა ვაი-ვუშით,
ღრუბლები ხელს ვეღარ უშლის
ვერც ხომალდს, ვერც პილოტს,
ბოლო წამი უდგას ლოდინს,
ფრთებქვეშ უკვე მოჩანს ლოდი*
და მე ვხედავ, ვის რა ელის,
როცა კოკორგადაშლილი,
გულს ახარებს ისრაელი,
როგორც მორდეხ ჯანაშვილის
ხელთუქმნელი ტილო! **

სანუკვარი ოცნება

სხვა ხიბლი აქვს მათ ბუნებას,
ვინც ჩვენ ვიძმეთ, ვინც ჩვენ გვეძმო,
შოთას ტაძრის დაბრუნება
მათთან ერთად უნდა შევძლოთ.
დავიმოწებ დავითს, გერშონს,***
იმედს ფუჭად დავა ვერ შობს!

უძვირფასესი ჟამი

ცისქვეშეთში სუყველაფერს აქვს თავისი დრო და ჟამი,
არის დაბადებისა და სიცოცხლესთან გაყრის ჟამი,
ჟამი ნერგის დარგვისა და ჟამი მისი ამოძირკვის.
ჟამი მოკვდინებისა და განკურნვა რომ ებრძვის
სიკვდილს.
არის ჟამი ნგრევისა და მშენებლობის არის ჟამი,
ჟამი არის ტირილისა და სიცილის არის ჟამი,
ჟამი არის ლხინისა და მწუხარების არის ჟამი,
ჟამი ქვათა მიმოფანტვის, ჟამი ქვათა მოძიების,
არის ჟამი ხვევნისა და ჩახვეულთან მოცილების.
არის ჟამი პოვნისა და არის ჟამი დაკარგვისა.
ჟამი კარგის შენახვის და გადაგდება ამ კარგისა.
არის ჟამი დარღვევისა და შეკერვის არის ჟამი,
არის ჟამი დუმილისა და საუბრის არის ჟამი,
სიძულვილის არის ჟამი, სიყვარულის არის ჟამი.
არის ჟამი ომისა და სამშვიდობო წამის ჟამი.
კოჰელეთურ ჟამთა სრბოლას რომ გავყევი,
ვამბობ ამით,
წართმეული „ჯვრის მონასტრის“ დაბრუნების
დადგა ჟამი!

სანთელ-საკმეველი

სანთელი როცა ძლივს ბჟუტავს და ფერმკრთალად
იწვის,
მიზეზს იოლად თუ ვერ ვაგნებთ, და-ძმანო, ნუ
გვწყინს
ვის გაუნათებს და რა ძალით, ეს ღმერთმა უწყის!

ბევრჯერ სჯობს ერთი მკვდარია!

შოთას და ვაჟას დიდი სიმაღლით
რადგან გაიხსნა მეცხრე ცის თაღი,
კოჰელეთს შევთხოვ, დავით ნუ დამღლის,
თითქოს „მკვდარ ლომს სჯობს ცოცხალი ძაღლი“.

ოსური სირჩა

სამაჩაბლო რომ შუა ქართლის არის ნაწილი,
ეს არც კამათის თემაა და არც თავგანწირვის
და როცა ოსმა შემაჩეჩა სირჩა ყანწივით,
ქართველ ებრაელს რომ ვერ ვხედავ, ყურში
ჩამწივის,
„ვაი ქვეყანავ, ვისი მეფეც იყო ყმაწვილი“.

შეუსრულებელი დაპირება

ჭანგიან მაჭარს ვერ დააღვინებ,
თუნდ უკვდავების წყალი ასხურო,
„სჯობს, არაფერი დაჰპირდე ვინმეს,
ვიდრე თქვა, მაგრამ არ შეასრულო“.

უძრაობა მოძრაობისა

ხშირად უწევდა აყოლა მოდის,
მაგრამ მე მაინც მჯერა გულწრფელად,
„თაობა მიდის, თაობა მოდის,
მაგრამ სამყარო რჩება უცვლელად“
და ნუ მოცდები, ნურც გაოცდები,
თუ სიზმარს შერჩა ფრთები ოცნების!

მარადიული სამართალი

წუთისოფელში სამართალი მეფობს სიმკაცრით,
„მდიდარს სიმდიდრე არ აძინებს“ და სიქას აცლის,
„ტკბილია ძილი მშრომელი კაცის“.

თან ვერ წაიღებ!

სულს ნუ გაყიდი ოქროს საშოვნად,
რამეთუ, როცა მოგაკითხავს შენი შავი დღე,
„როგორც შიშველი გამოხვედი დედის საშოდან,
ისევე წახვალ და ვერაფერს თან ვერ წაიღებ!“

თუ ქარს დარაჯობ!

უთხარი ძმას და ყველა ნათესავს,
„ვინც ქარს დარაჯობს, ის ვერ დათესავს!“

დაბადებას აღმატებული

თუ იცხოვრე კაცურად და თან სიკეთეც შეძელ,
ცოდვებში არ დაცურავ, რომ შენს კანშივე
შეძვრე,
წასვლა ყველას ხვედრია და სხვა ნუგეშს ნუ ეძებ,
„სიკვდილის დღე მეტი არის დაბადების დღეზე!“

მიწიდან და მიწაში

რაც გულს ახარებს, რაც თვალს იზიდავს,
რითაც ვამაყობთ, გვაქვს დასაფიცად,
„სუყველაფერი მოდის მიწიდან
და ყველაფერი იქცევა მიწად!“

შეიცან თავი!

რაკიღა ვართ ყველა
წუთისოფლის მდგმური,

*** თელ-ავივის თანამგზავრ ლოდშია ისრაელის მთავარი აეროპორტი, რომელიც ლეგენდარული გენერლის, 6-დღიანი ომის გმირის ბენ-გურიონის სახელს ატარებს.**

**** ჩემი უახლოესი მეგობრის, სულგანათლებულ მორდეხ ჯანაშვილის 4 ფერტილო ამშვენებს ისრაელის ქნესეტს, ისრაელისადმი მიძღვნილი ერთი პეიზაჟი კი, რომელიც აღთქმული ქვეყნის ნახვამდე საქართველოში შექმნა, ჩემს საოჯახო გალერეაშია დაცული.**

***** გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი) და დავით შიმშილაშვილი — განზოგადებული სახე საისრაელოს ქართველ ებრაელთა თემისა.**

„არ წაგისწროს ენამ,
არ აჩქარდეს გული!“

ჯიბრი

თუ გონება არ გიჭრის,
მზერას გიშლის ლიბრი,
„მთელი შრომა და ნიჭი
არის სხვასთან ჯიბრი!“

მონობა და უკანონობა

თუ შეეჩვია ხალხი მონობას,
მაშინ ქვეყანა ყრუა,
„განსჯის ადგილი უკავია უკანონობას,
მართლის ადგილი – მტყუანს!“

გრდემლი და ცრემლი

ჯაჭვებს კვლავ ჭედავს მჭედელის გრდემლი
და ამირანს რომ აღარ ეშველა,
„აჰა, იღვრება ჩაგრულთა ცრემლი
და არავინ ჰყავთ მანუგეშებლად!“

შევნატრი, ვინც არ დაიბადება

ბედნიერია, ვინც მკვდარია, რადგან ვერ ხედავს
ტანჯვას და ტკივილს, ჩვენს თვალწინ რომ
არასდროს ცხრება,
უფრო მშურს მათი, ვისაც შობა არ ერგო ხვედრად
და ვერ იხილავს ავკაცობით ქვეყნად რა ხდება!

ბედი კაცისა

საწუხარი არის ისა, თუ შეიცან,
კაცის ხვედრი რომ წააგავს პირუტყვისას
და ორივეს შეჭამს მიწა!

სიზმარი

ვარდის ნაცვლად ეკალს თუ რგავ, ნათელს აქცევ
უკუნისად,
„აბდაუბდა სიზმარსა ჰგავს აყბედება უგნურისა!“

ოცნება და სიამოვნება

თუკი გონება ფუჭ ოცნებას დაემონება,
უიღბლო ხარ და ბედი არ გწყალობს;
„ბევრად სჯობია ერთი მუჭა სიამოვნება,
ამაოებით სავსე საწყაოს“.

ბრძოლის ანაბანა

ფუჭი იმედი იოლად მრწმენს მოუტანს ზიანს,
„ძლიერთან ბრძოლა მასზე სუსტ კაცს არ შეუძლია!“

ზეობა უზნეობისა

არ შეიძლება, უზნეობა ქვეყნიდან გაქრეს,
„როდესაც სწრაფად არ ისჯება ბოროტი საქმე“,
თუ იგვიანებს ავკაცების გასამართლება,
ავი ზრახვანი აიყოლებს სხვებსაც მათებრად!

სიბრძნე და იარაღი

ბრიყვის ყვირილზე კი არა,
რაც გვწამს, ისა ვთქვათ, მოდი რა!
„სიბრძნე სჯობია იარაღს“,
რომ არ დაგვღუპოს ცოდვილმა.

ცოდვანი უცოდველისა

მთლად უცოდველად ვერავინ დადის,
დე, საუბარი ამით მოთავდეს,
„არ არის ქვეყნად თუნდაც წმინდანი,
სიკეთე ექმნას და არ ცოდავდეს!“

იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტერი

თამარ მამისთვალოვი (მარცხნიდან), ქუთაისელ ებრაელთა ყოფილი გაბაი ეფრემ ჩიკვაშვილი, ალ. შენგელია და ვერიკო მეგრელიშვილი (მორდეხ ჯანაშვილის ქვრივი) ქუთაისში.

სადღეისო საწუხარი

დღეს საწუხარი ბევრი რომაა,
თან ახლავს მწარე რეალურობა:
„ბრძენთა გულებში არის გლოვა და
სულელთა გულში – მხიარულობა!“

ალმოდებული ფიჩხი

როგორც ფინჩხას ჰგავს ფინჩხი,
წააგავს ბრიყვის ჯიჯღინს,
ცეცხლში ტკაცუნი ფიჩხის!

საყვედური და სიმღერა

ბრძენი საყვედურს როცა ამბობს, როგორც წესია,
გიჟის მღერაზე გაცილებით უკეთესია!

დრო და სამართალი

მცნების დაცვა სასიკეთო ამად არი,
„ბრძენის გულმა იცის დრო და სამართალი!“

ვერ პოვებ!

ვერსად იპოვი სადმე სულდგმულს, ქარზე
მბრძანებელს
და თუნდ ერთ მოკვდავს, სიკვდილის ცელს რომ არ
დანებდეს!

ერთი ხელმოსმა

წმინდა რომ მიდის ამა ქვეყნიდან, ან ავაზაკი კვდება,
ორივე მათგანს ბედის განმრიგის ერთი
ხელმოსმა სწვდება,
და ბოროტება ამ სამყაროში ამიტომ აღარ წყდება!

იჩქარე საქმე კეთილი!

თუკი სიკეთის უნარი გაქვს, აკეთო უნდა,
დაიმახსოვრე, ცა მუდამ ვერ გაგწვდება ქუდად
და როცა წახვალ, ჯოჯოხეთი მყისვე გაგქურდავს!

შემთხვევითობა

„ასპარეზობის ბედს არ წყვეტენ მორბენალები
და ომების ბედს ძალოვანები“,
არ დაიჯერო, გაიმარჯვოს ვინმემ თვითონა,
„ყველაფერს მართავს
მხოლოდ დრო და შემთხვევითობა!“

ამაოება ამაოებათა

ვიდრე გატყდება კოკა წყაროზე
ან ჩავარდება ოწინარის ბორბალი ჭაში,
მტვრად გადიქცევა, შენმა ხვედრმა რაც გიწყალობა,
სუყველაფერი ამაოა და მიწა წაშლის!

აღსარება

ბედისწერა ყირამალა დადის რაკი,
ვერ გავიგე, მოკვდავთა გზას როგორ მართავს,
ავკაცობით დიდხანს ცოცხლობს ავაზაკი,
სიმართლე კი ბევრჯერ ღუპავს ალალმართალს!
რაც ვიხილე, დამახსომდა იმ თავიდან,
ყველაფერი ამაოა, შევიგრძენი,
მიტომ არ მსურს, ვიყო ძალზე წმინდანი და
არც ის მინდა, ნამეტნავად ვიყო ბრძენი!

ბოლოთქმა

მამისთვალოვის თამარქალობით
როდესაც დავტკბი ბიბლიური სიბრძნის გალობით,
ამონარიდი ბევრი მოება,
ჩვენში სხვადასხვა გარემოებას.
ამიტომ ვცდილობ,
მოკრძალებით სხვებსაც ვაჩვენო,
ამოკრეფილი სიტყვა საჩვენოდ!

ალექსანდრე შენგელია

ქუთაისი – ისრაელი

ქართველი მოსწავლეების საერთაშორისო ტრიუმფი

ქართველი მოსწავლეები ქალაქ ალმატიში გამართულ ჟაუტიკოვის მე-16 საერთაშორისო ოლიმპიადიდან 16 მედლით დაბრუნდნენ. ასპარეზობა მიმდინარე წლის 8-12 იანვარს გაიმართა და მასში 21 ქვეყნის 84 გუნდის 600-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, ოლიმპიადაში თბილისის კომაროვის 199-ე, ვეკუას 42-ე და ქუთაისის რაზმაძის სახელობის 41-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის გუნდები იღებდნენ მონაწილეობას. ქართველმა მოსწავლეებმა 16 მედალი მოიპოვეს (სამი ოქრო, ხუთი ვერცხლი და რვა ბრინჯაო). 16-დან 13 მედალი (სამი ოქრო, ხუთი ვერცხლი და ხუთი ბრინჯაო) კომაროველებს ერგოთ. შესაბამისად, კომაროვის სახელობის 199-ე სკოლის გუნდმა მესამე საპრიზო ადგილიც (რეიტინგით მეხუთე ადგილი) მოიპოვა.

ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ: **თეიმურაზ თოლორაია** – აბსოლუტური პირველი ადგილი (მათემატიკა-კომაროვი), **ნიკოლოზ ბირკაძე** (მათემატიკა – კომაროვი) და **ანა ონოფრიშვილი** (მათემატიკა – კომაროვი).

სამინისტროს ინფორმაციით, მწვრთნელებს შორის გამართულ შეჯიბრში პირველი ადგილი ქართველმა პედაგოგებმა **ლელა მამულაშვილმა** (მათე-

მატიკა – ვეკუა) და **მიხეილ სოხაშვილმა** (ფიზიკა – კომაროვი) მოიპოვეს. მესამე ადგილზე კი, **ვახტანგ შეკიშვილი** (ინფორმატიკა – რაზმაძე), **ლუკა ხიზანიშვილი** (ფიზიკა – ვეკუა) და **თეიმურაზ კალატოზი** (ფიზიკა – კომაროვი) გავიდნენ.

პრესტიჟულ საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში საქართველოს გუნდების მონაწილეობას და ყველა საჭირო ფინანსურ ხარჯს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს.

„მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შეჯიბრება წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რამდენიმე იმართება, სადაც ყოველთვის წარმატებით მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნიდან წარგზავნილები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მოსწავლეების მიერ მიღწეული შედეგები როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ოლიმპიადებში.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია, შესაბამისად, ფიზიკა-მათემატიკური სკოლების გაძლიერება, ამ სკოლების თანამედროვე ტექნიკითა და ლაბორატორიებით აღჭურვა ზრდის მოსწავლეებში მოტივაციას და ხელს უწყობს მათ დაინტერესებას მეცნიერებით“, – ნათქვამია განათლების სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მკვლელი დრონები: გონიერ უპილოტო საფრენ აპარატებს მესამე მსოფლიო ომის დაწყება შეუძლიათ



მათ ჩვენი დროის მთავარ იარაღს უწოდებენ. რამდენიმე თვის წინათ უპილოტო საფრენმა აპარატებმა დრონებმა საუდის არაბეთში ორ უდიდეს ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაზე მიიტანეს იერიში, სადაც გაჩენილ ხანძრებს უდიდესი ზარალი მოჰყვა. ამ ინციდენტის შედეგად ნათლად წარმოჩინდა, თუ რა ხერხებით აწარმოებენ ომებს უახლოეს ათწლეულებში. ამასთან, ექსპერტები ხაზს უსვამენ იმას, რომ ერთია ოპერატორის მიერ მართული დრონი, მაგრამ სულ სხვა საფრთხის შემცველია ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი საფრენი აპარატი, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. ამ შემთხვევაში დანამდვილებით იმის თქმა, თუ ვის წინააღმდეგ გამოიყენებს ის თავის საბრძოლო პოტენციალს, შეუძლებელია...

ბოლო წლებში დრონები ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცნენ და იმის მიუხედავად, რომ მათი გამოყენება შესაბამისი კანონმდებლობით საკმაოდ ხისტად კონტროლდება, ისინი აუარება ფუნქციას ასრულებენ. მათი მეშვეობით დიდი სიმაღლიდან ხდება ფოტო და ვიდეოგადაღება, ადამიანისთვის მიუვალი, ან ძნელად მისადგომი ადგილების აგეგმვა, სასწრაფო ამანათებისა და სხვა ტვირთების ადგილზე მიტანა, ცხვრის მწყემსვა, ნათესების მონიტორინგი და სხვ.

ამასთან, სავსებით გასაგებია, რომ დრონების მიმართ ყველაზე დიდ ინტერესს სამხედროები იჩენენ. მოიერიშე და სადაზვერვო დრონები ამჟამად მსოფლიოს ყველა ჯარს გააჩნია. ომის თეორეტიკოსებს უკვე შეგნებული აქვთ, რომ **მომავალ სამხედრო დაპირისპირებებში ბოლო სიტყვა ზუსტად არამასობრივი განადგურების იარაღზე იქნება.**

ამასთანავე, წლიდან წლამდე დრონები სულ უფრო მეტად პატარავდება და მრავალფუნქციური ხდება. მაგალითად, 2019 წელს ამერიკელებმა დაიწყეს დრონებისთვის ცეცხლმტყორცნების გამოშვება, რუსეთმა კი უპილოტო აპარატი... პოლარულ ბუს დაამსგავსა – ნატურალური ფრთებით და კუდით. მაგრამ, **გაცილებით ეფექტიანია მწერების მსგავსი აპარატები, რომლებსაც ნემსიყლაპიების, კალიების თუ ტარაკნების იერი აქვთ მიცემული,** რომლებიც ნაყარის სახით გადაადგილდებიან – ასეთი მინი-დრონების მოგერიება ძალზე რთულია – რაკეტას ხომ არ ესვრიან?!

საბრძოლო მოქმედებებში დისტანციურად მართვადი უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება, ადამიანს საშინელი ქმედებების ჩადენის შესაძლებლობას მისცემს და დანაშაულის ჩადენის ადგილიდან შორს ყოფნის გამო ამისთვის არანაირ პასუხისმგებლობას არ იგრძნობს. **სავარაუდოა ავტონომიური დრონების გაჩენა, რომლებიც ამა თუ იმ მიზნით განადგურების გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად, ადამიანის ჩარევის გარეშე მიიღებენ.** მომავალში კი საბრძოლო მოქმედებებმა, შესაძლოა მიწისქვეშაც გადაინაცვლოს, სადაც ტერორისტები დაიმალებიან...

ამჟამად ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი, რომ **ადრე თუ გვიან საბრძოლო დრონები არა მარტო ავტონომიური, არამედ დამოუკიდებლად მოაზროვნეები გახდებიან.** გონიერი მკვლელი დრონები მტრის განადგურებას ინფრასტრუქტურის დაუზიანებლად შეძლებენ. ხელოვნური ინტელექტის მქონე დრონს საბრძოლო დავალების შესრულება ნებისმიერ ცოცხალ დივერსანტზე უკეთ შეეძლება: ის განუზომლად დიდი ხნის მანძილზე გაჩერდება უმოძრაოდ და სამიზნეს (ვთქვათ, ტერორისტების) გამოჩენას უსასრულოდ დაელოდება, მერე კი უმალ, და, რაც მთავარია, შეუცდომლად იმათ განადგურებას შეძლებს, მაგრამ **უდიდესი პრობლემა ის იქნება, რომ დრონის ხელოვნური ინტელექტი ზნეობის ჩარჩოებით არ იქნება „დამძიმებული“.** ამდენად, რთული არ არის ისეთი ვითარების წარმოდგენა, როცა ტერორისტები შეძლებენ ასეთი გონიერი დრონის ხელში ჩაგდებასა და საკუთარი მიზნებისთვის გადაპროგრამებას! ჰოდა, მაშინ ისე მოხდება, რომ სამართლიანი შურისგების იარაღიდან დრონი ტერორის საშუალებად გადაიქცევა.

ექსპერტების აზრით, ავტონომიური რობოტების ახალი თაობა მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ჟლეტის მიზეზი შეიძლება გახდეს. კომპანია „გუგლის“ ყოფილი ინჟინრის **ლორა ნოლანის** თქმით, საჭიროა ადამიანის მიერ უმართავი შეიარაღებული საბრძოლო რობოტების კანონგარეშე გამოცხადება, რადგან მათ, ქიმიური იარაღის მსგავსად, ხალხის განურჩევლად ხოცვა-ჟლეტა შეუძლიათ. ამის სცენარი კი, შესაძლოა, სხვადასხვა იყოს – ვთქვათ, ამინდი, რომლის პარამეტრები საპროგრამო უზრუნველყოფით გათვლილი არ ყოფილა, ანდა ელემენტარული შეცდომა – მონადირეთა ჯგუფი დრონმა შეიძლება, ტერორისტებად ჩათვალოს, ანდა შემთხვევით ააფეთქოს ატომური ელექტროსადგური...

ამდენად, ყოველივე მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებაა საჭირო.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

თვითმფრინავი ორმა ირანულმა რაკეტამ ჩამოაგდო

„ნიუ იორკ თაიმსი“ ვიდეოს ავრცელებს, რომელზეც გამოცემის ცნობით, ჩანს, რომ „უკრაინის ავიახაზების“ თვითმფრინავს ირანის მიერ ნასროლი ორი რაკეტა მოხვდა. სათვალთვალო კამერის ვიდეოჩანაწერის ავთენტურობა დადასტურებულია.

ორი რაკეტა თეირანის აეროპორტის სიახლოვეს მდებარე ობიექტიდან გაუშვეს. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, პირველი რაკეტის მოხვედრის შემდეგ თვითმფრინავის ტრანსპოდერი გაითიშა. 23 წამში კი სამგზავრო ლაინერს მეორე რაკეტა მოხვდა.

ირანში ჟურნალისტები სამსახურიდან მიდიან

ირანში სახელმწიფო ტელევიზიის სამმა წამყვანმა სამსახური დატოვა. ერთ-ერთმა ტელეწამყვანმა გელარე ჯაბარიმ საზოგადოებას თავისი გადაწყვეტილების შესახებ სოციალურ ქსელ „ინსტაგრამიდან“ ამცნო და მაყურებელს ბოდიში მოუხადა, რომ „13 წლის განმავლობაში ატყუებდა“. თუმცა მოგვიანებით პოსტი, სავარაუდოდ, წაიშალა.

სამსახური ასევე დატოვეს ირანის ისლამური რესპუბლიკის მაუწყებლის (IRIB) ორმა წამყვანმა. **„მადლობა, რომ დღემდე როგორც წამყვანს მიღებდით. მე არასდროს დავბრუნდები ტელევიზიაზე. მაპატიეთ“,** – აღნიშნა ზაჰრა ხათამიმ.

„მადლობა ჩემი კარიერის განმავლობაში მხარდაჭერისთვის. რადიოსა და ტელევიზიაში 21-წლიანი მუშაობის შემდეგ, მე ვეღარ გავაგრძელებ მუშაობას მედიაში. მე არ შემიძლია“, – აღნიშნავს ზაჰრა ხატამის კოლეგა საბა რადი.

შეგახსენებთ, ირანში საპროტესტო გამოსვლები მას შემდეგ დაიწყო, რაც ხელისუფლებამ აღიარა, რომ უკრაინის ავიახაზების სამგზავრო ავიალაინერი სამხედროებმა შეცდომით ჩამოაგდეს.

უკრაინა ავიალაინერის „შავ ყუთებს“ ითხოვს

უკრაინული მხარის ცნობით, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა და გენერალურმა პროკურატურამ უკვე მიმართეს ირანის შესაბამის ორგანოებს ბორტჩამწერების გადასაცემად.

„უკრაინა მიმართავს ყველა ზომას ბორტჩამწერების შესაბამისი გაშიფრვის უზრუნველსაყოფად და ავიაკატასროფის გარემოებების გამოძიებისას მტკიცებულებების შესანახად“, – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

ამასთან, უკრაინის ელჩმა აშშ-ში ვლადიმირ ელჩენკომ განაცხადა, რომ უკრაინის საერთაშორისო ავიახაზების ავიალაინერის კატასტროფის გამოძიება კომპანია „ბოინგის“ მონაწილეობით ჩატარდება. დიპლომატის ინფორმაციით, საგამოძიებო კომისიაში „ბოინგის“ წარმომადგენლების გარდა შევლენ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთა მოქალაქეებიც ემსხვერპლნენ ავიაკატასტროფას. აღსანიშნავია, რომ მანამდე ირანმა განაცხადა, რომ ჩამოგდებული თვითმფრინავის „შავ ყუთებს“ გასაშიფრად საფრანგეთში გაგზავნის.

კვიპროსის სანაპირო დაცვამ 101 სირიელი მიგრანტი გადაარჩინა

ხმელთაშუა ზღვაში გადარჩენილი მიგრანტები სანაპირო დაცვის წარმომადგენლებმა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ პროტარასში გადაიყვანეს.

კვიპროსი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან ყველაზე ახლოს მდებარეობს. სწორედ ამიტომ, არალეგალი მიგრანტები კუნძულოვან ქვეყანაში შეღწევას საკმაოდ ხშირად ცდილობენ.

გაეროს მონაცემებით, 2019 წელს კვიპროსში 1 700 არალეგალი მიგრანტი ჩავიდა. ქვეყანაში კი მხოლოდ ორი ბანაკი არსებობს. კვიპროსის სამხრეთ ნაწილში მდებარე ბანაკში 250 მიგრანტი ცხოვრობს. დედაქალაქ ნიკოზიასთან ახლოს მდებარე ბანაკში კი 350 ადამიანი იმყოფება.

პუტინი პრეზიდენტის უფლებამოსილების ნაწილის პარლამენტისთვის გადაცემის ინიციატივით გამოვიდა

ფედერაციული **კრების წინაშე გამოსვლისას ვლადიმერ პუტინი სახელმწიფო დუმისთვის პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის დამტკიცების უფლების გადაცემის ინიციატივით გამოვიდა. გარდა ამისა, რუსეთის პრეზიდენტის შეთავაზებაა, რომ პარლამენტმა მთავრობის მეთაურის მიერ წარდგენილი ყველა ვიცეპრემიერი და ფედერალური მინისტრი დაამტკიცოს.**

პუტინის თქმით, რუსეთის პრეზიდენტს, რომელიც ამჟამად მთავრობის შემადგენლობას ამტკიცებს, პარლამენტთან შეთანხმებული კანდიდატების უარყოფის უფლება აღარ ექნება. ამავდროულად, კრემლის ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეებისა და სხვა მინისტრების გადაყენების უფლება პრეზიდენტს უნდა დარჩეს იმ შემთხვევაში, თუ მათი ნდობა ეჭქვეშ დადგება ან თავიანთ მოვალეობას სათანადოდ არ შეასრულებენ.

მისივე თქმით, პრეზიდენტმა უნდა შეინარჩუნოს შეიარაღებული ძალებისა და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობის უფლება.

მიმართვისას პუტინმა ასევე განაცხადა, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები საყოველთაო კენჭისყრის შემდეგ უნდა შევიდეს. მისი განმარტებით, შეთავაზებული ცვლილებები შეიძლება პარლამენტმა მიიღოს, თუმცა მაინც მიიჩნევს, რომ რეფერენდუმის ჩატარება აუცილებელია. გარდა ამისა, პუტინმა განაცხადა, რომ შეიძლება ცვლილება შევიდეს კონსტიტუციაში ზედიზედ 2 ვადით პრეზიდენტობის შესახებ და გამოვიდა ინიციატივით, რომ კანონში კანდიდატის ერთ-ერთ მოთხოვნად რუსეთში არანაკლებ 25 წელი ცხოვრება იყოს მითითებული.

დედაქალაქის მერია კორუფციასთან ბრძოლის შტაბად უნდა იქცეს!

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის პირველი სხდომა

დედაქალაქის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის პირველი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და საახალწლო ღონისძიებების მომზადებაში ჩართულ პირებს, ორგანიზაციებისა და ბიზნესის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა.

კახა კალაძის განცხადებით, გასული წელი განსაკუთრებული იყო და საახალწლო ღონისძიებები კარგად იყო ორგანიზებული.

„მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, რომლებიც საახალწლო ღონისძიებების მომზადებაში იყო ჩართული და ზოგადად, დედაქალაქის მოსახლეობისთვის საახალწლო განწყობის შექმნაზე ზრუნავდა“.

დედაქალაქის მერმა ყურადღება მიმდინარე წლის ბიუჯეტზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ 2020 წლის ბიუჯეტი დაახლოებით, მილიარდ 245 მილიონი ლარია. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით კი, რომელიც 270 მილიონ ლარს აღწევს, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის ჯამში, დაახლოებით, მილიარდ ნახევარი ლარი დაიხარჯება.

მისი თქმით, EBRD-ის მიერ გამოყოფილი თანხა მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებას მოხმარდება.

„2017 წელს დაახლოებით, 815 მლნ იყო დედაქალაქის ბიუჯეტი, წინა წლებში — კიდევ უფრო ნაკლები. 2018 წელს ჩვენ მოვახერხეთ, რომ 900 მილიონამდე გაგვეზარდა. ჩემი წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადააჭარბებდა მილიარდ ლარს და 2019 წელს ასეც მოხდა. წლევანდელი, 2020 წლის ბიუჯეტი არის დაახლოებით, მილიარდ 245 მილიონი ლარი. ეს თანხები ძირითადად, დაიხარჯება ორი ძირითადი მიმართულებით: ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა და სოციალური მიმართულება. ამას დაემატება დაახლოებით, 270 მილიონი ლარი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან, იმისთვის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი მთლიანად მოწესრიგდეს. დაახლოებით, მილიარდ ნახევარი იქნება დედაქალაქის ბიუჯეტი“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა აქვე თბილისის რაიონების გამგებლებს დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებით საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციისკენ მოუწოდა.

კახა კალაძემ მერიის სხვადასხვა სტრუქტურის ხელმძღვანელებს კორუფციის პრევენციის მიზნით მაქსიმალური ყურადღების გამოჩენისკენ მოუწოდა. მან თქვა, რომ კორუფციის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, რეაგირება უმკაცრესი და პრინციპული უნდა იყოს.

„მინდა, გავაფრთხილო ყველა საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი, ჩემი მოადგილეები, გამგებლები, რომ თქვენი მიმართულებებით გამოიჩინოთ მაქსიმალური ყურადღება კორუფციის პრევენციის მხრივ, რომ რაიმე არ გამოგეპაროთ. იცით, პირადად ჩემი მიდგომა და დამოკიდებულება, რომ არავის არაფერი ეპატიება. კორუფცია კატეგორიულად მიუღებელია და ჩვენ თავს არ დავუხრით ამ ყველაფერს. თუ ვინმეს დახმარება სჭირდება, ჩვენ ყველანაირად ხელს შევუწყობთ, გვერდში დავუდგებით, პრობლემებთან მარტო არავის დავტოვებთ. იქნება მხარდაჭერა და თანადგომა, მაგრამ ვისაც ექნება რაიმე გადაცდომა, ჩვენ ვიქნებით პრინციპული. ჩემი თხოვნა და მოთხოვნა იქნება, რომ მაქსიმალური ყურადღება გამოვიჩინოთ ამ მიმართულებით პრევენციისთვის და ყველანაირი პრობლემა ავიცილოთ თავიდან“.

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ თბილისი „ევროპის საუკეთესო მიმართულებები 2020“-ში (EBD) მონაწილეობს. საერთაშორისო კონკურსისთვის რვა ფოტოგრაფის მიერ გადაღებული ფოტოები შეირჩა, დღეიდან კი ხმის მიცემის პროცედურა დაიწყო.

„ვფიქრობ, რომ ამ კონკურსში გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია და ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება თბილისის ტურისტული პოპულარიზაციისთვის. ჩვენ ყველა პლატფორმა უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქალაქი გახდეს ყველაზე მიმზიდველი, პოპულარული. ყოველწლიურად იზრდება ტურისტების რაოდენობა, რაც მისასალმებელია და, რა თქმა უნდა, ეს ჩვენს ეკონომიკაზე, ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაზე აისახება. შემთხვევითი არ არის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ვითარდება, იხსნება ახალი სასტუმროები, ჰოსტელები, კაფე-ბარები. იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, ადამიანებს ეძლევათ ახალი შესაძლებლობები. შესაბამისად, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მსოფლიოში, ევროპაში ყველა პლატფორმა გამოვიყენოთ და წარმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყანა“.

კონკურსზე ხმის მისაცემად შექმნილია სპეციალური ლინკი ხმის მიცემა დღეიდან დაიწყო და სრულდება 5 თებერვალს 14:59 საათზე. ხმის მიცემა ერთი IP მისამართიდან შესაძლებელია შვიდ დღეში ერთხელ, ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე. ხმის მიცემა შესაძლებელია ნებისმიერი გეოგრაფიული ლოკაციიდან.

ამასთანავე, კონკურსზე თბილისის მხარდასაჭერად შექმნილია სპეციალური ჰეშთეგიც #votefortbilisi.

ჩვენ ტექნოგენური საზოგადოება ვხდებით!

ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება პოსტინდუსტრიული სამყაროს ნაწილი ხდება. საზოგადოებრივი განვითარების პოსტინდუსტრიულ კონცეფციაზე ჯერ კიდევ კარლ მარქსი წერდა მე-19 საუკუნეში.

პოსტინდუსტრიული საზოგადოება ულმობლად ტექნოგენურია. ამ საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს შორის ცენტრალური ადგილი უკავია ახალი ინტელექტუალური ტექნოლოგიის ცოდნის შექმნას და ამ ცოდნის მატარებელთა კლასის განუხრელად ზრდას. ტექნოგენური ცივილიზაციის განვითარება თავის ინფორმაციული საზოგადოებით, პრაქტიკულად, გარდუვალი პროცესია.

ჩვენს ქვეყანაში ტექნოგენური კლასის ზრდა უკვე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ისევე, როგორც ამის თანმხლები მენტალური და ქცევითი ცვლილებები, რომლებიც ჩვენს ტრადიციონალისტურ-ორთოდოქსულ გარემოში ბუნებრივ წინააღმდეგობას აწყდება. ეს იმიტომ ხდება, რომ ტექნოგენური სოციუმის ჩამოყალიბებას, რომელიც, ფაქტობრივად, ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს, თან ახლავს ჩვენი ტრადიციული „ცხოვრების აპკის“ რღვევა.

დღეს ყველა კარგად ხედავს ტექნოგენური საზოგადოების პრინციპებს სხვებზე ადრე ნაზიარები ადამიანთა ჯგუფების ქმედებებს, რომლებიც მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღწეევებს რომ თავიანთი კერძო და ეგოისტური მისწრაფებების თუ ამბიციების დასაკმაყოფილებლად იყენებენ.

ტექნიკა და ტექნოლოგია თანდათანობით ხდება სოციო-კულტურული ტრანსფორმაციის მამოძრავებელი ძალა. ამ ტრანსფორმაციის მდგენელებია ტექნიკური რაციონალობის პრინციპის დამკვიდრება, სოციალური პროცესებისადმი ადამიანის გაუცხოების ელემენტების დანერგვა და რაც მთავარია, ადამიანების და, სოციუმის დამკვიდრებული და ტრადიციული ყოფის არასრულყოფილების აღიარება და მისი გადაფორმატების დაუოკებელი სურვილი.

დიდი ალბათობით გადაფორმატების შედეგი უნდა გახდეს „ერთგანზომილებიანი ადამიანი“ — ტექნოგენური და ამავე დროს კონფორმისტული პიროვნება, რომელსაც მშვიდად შეუძლია იარსებოს სოციალური დეტერმინირების პირობებში წინასწარ განსაზღვრული ფუნქციონალით. ამავე დროს, ამ ადამიანს შეუძლია ისარგებლოს სოციალური ტექნოლოგიებით შექმნილი ე.წ. „სოციალური ლიფტით“ სოციალური იერარქიის საფეხურებზე ასასვლელად. თუმცა, ამ „სოციალურ ლიფტში“ შესვლა, რა თქმა უნდა, ყველას არ შეეძლება. ადამიანმა ჯერ შესაბამისი და ტექნოგენურ საზოგადოებაში მოთხოვნადი პროდუქტი და კონტენტი უნდა გამოიმუშაოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან ტექნოგენური საზოგადოებისათვის საჭირო „ინოვაციური ქცევის“ დემონსტრირება უნდა მოახდინოს. მაგალითად, ტრადიციული სოციალიზაცია ჩანაცვლოს ონლაინ სოციალიზაციით. **ადრე, სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის, პრაქტიკულად, არ არსებობდა კომუნიკაცია უნივერსიტეტის კედლებს მიღმა. დღეს კი ისინი სოციალური ქსელებით ურთიერთობენ და ერთმანეთის შესახებ მეტი იციან.**

> როგორ შინაარსსა და ფორმას მიიღებს ჩვენთან ტექნოგენური საზოგადოება, ჯერ ადრეა საუბარი, რადგანაც მხოლოდ საწყის ეტაპზე ვიმყოფებით. ეს ყოველივე დიდწილად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა დოზით მიიღებს ჩვენი საზოგადოება ე.წ. „ტექნიკის იდეოლოგიას.“

ზაალ ანჯაფარიძე

თბილისს სასწრაფო დახმარების 80 ახალი მანქანა მოემსახურება

თბილისს დღეიდან სასწრაფო სამედიცინო დახმარების 80 ახალი ავტომობილი მოემსახურება. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ სასწრაფო მანქანების პრეზენტაციაზე თქვა, რომელიც თავისუფლების მოედანზე გაიმართა.

კალაძემ დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ თბილისის სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ცენტრი მერიის დაქვემდებარებიდან ჯანდაცვის სამინისტროში გადადის.

თბილისის მერმა ჯანდაცვის მინისტრს ეკატერინე ტიკარაძეს რეფორმების განხორციელებაში წარმატებები უსურვა.

◎ ვიამაყოთ!

ისტორიული გამარჯვება!

საქართველოს ნაკრები ბუდაპეშტში წყალბურთელთა 2020 წლის ევროპის ჩემპიონატში ზღაპრულად ჩაება და პირველივე ტურში საფრანგეთის ნაკრები დააჩოქა! რევაზ ჩომახიძის გუნდმა მართლაც დიდებულად ითამაშა და ძლიერი მეტოქე დამსახურებულად დაამარცხა.

შეხვედრა „ჯვაროსნებმა“ იდეალურად დაიწყეს და „სამფეროვნებს“ ფაბიო ბარალდიმ და ანდრო ბითაძემ

ორი უპასუხო გოლი გაუტანეს. შემდგომ უპირატესობა საფრანგეთის მხარეს გადავიდა და პირველი პერიოდიც მან მოიგო — 3:2.

სამაგიეროდ, ამის შემდეგ საქართველოს ნაკრები ანგარიშში აღარ ჩამორჩენილა. მეორე პერიოდი ჩომახიძის შეგირდებმა ანალოგიურად 3:2 მოიგეს და პირველი ტაიმი ფრედ — 5:5 დასრულდა. დიდი შესვენების შემდეგ ქართველებმა მეტოქეს აჯობეს, მესამე და მეოთხე პერიოდები ერთნაირი ანგარიშით — 2:1 მოიგეს და საბოლოოდ 9:7 იმარჯვეს.

ეს იმას ნიშნავს, რომ 12 საუკეთესო გუნდში მოსახვედრად დიდი ნაბიჯი გადაიდგა. გარდა ამისა, ისტორიული გამარჯვებაცაა, რადგან საფრანგეთს საქართველო აქამდე სამჯერ ჰყავდა დამარცხებული, ასე რომ, ნავსი გატყდა.

მომდევნო მატჩს რევაზ ჩომახიძის გუნდი დღეს საბერძნეთის ნაკრებთან გამართავს, რომელიც D ჯგუფის სტარტზე ტურნირის ფავორიტ იტალიასთან 6:10 დამარცხდა.

გიორგი შოთაძე

◎ აღიარება — მსოფლიოში საუკეთესო!

მკლავჭიდის საერთაშორისო ფედერაციამ გამოკითხვის შედეგად 2019 წლის საუკეთესონი გამოავლინა.

პირველ პოზიციაზე აბსოლუტური უმრავლესობით ქართველი გოლიათი ლევან საგინაშვილი გავიდა. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ხმების 98% დააგროვა და მას მხარი 12 864-მა რესპონდენტმა დაუჭირა.

მეორე ადგილი 174 ხმით ლიეტუველმა მინდაუგას ტარასაიტისმა დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ საგინაშვილმა 2019 წელს ყველაზე პრესტიჟული ტურნირის — ტოპ 8-ის ფინალში რუსი მეტოქე ვიტალი ლალეტინი 6:0 დაამარცხა და საჩემპიონო ქამარი მოიპოვა.

კოზა კოზახიძე

◎ ღირსეული

პრინციპების ერთგული

სწორუპოვარ ფალავანთა საბუდარიდან რომ აფრინდები, თანაც ხალიჩის რაინდ ვლადიმერ რუბაშვილის წონაში დაიმკვიდრებ ღირსეულ ადგილს და ქვეყნის ნაკრების წევრობას 7 სეზონის განმავლობაში შეინარჩუნებ, თამამად შეგიძლია თავი სპორტულ სამყაროში ვალმოხდილად ჩათვალო და მომავალ თაობებს საამაყოდ გამორჩეული სახელი დაუტოვო.

საგარეჯოელმა თავისუფალი სტილით მოჭიდავე **სპარტაკ ქარსაულიძემ** ეს შეძლო. და მერე როგორ!

ქვემსუბუქ წონაში სსრკ ჩემპიონი, თასის სამგზის მფლობელი, ხალხთა სპარტაკიადის გამარჯვებული (გუნდურში) და მეორე პრიზიორი (პირადში), სტუდენტთა საკავშირო თამაშების ჩემპიონი, თბილისის პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის გვირგვინოსანი, მნიშვნელობით მსოფლიო თასის მფლობელობას რომ უტოლდებოდა — ასეთია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის სადარბაზო ბარათი, როგორსაც, დაგვეთანხმებით, ბევრი



მისი კოლეგა ინატრებდა.

მიღწევათა აღნიშნული ნუსხის უკან პრინციპული მამულიშვილის მიერ პროტესტის ნიშნად საკავშირო ნაკრების დატოვება იმალება. მიუხედავად ტიტულების სიმრავლისა, უმაღლესი რანგის ფორუმებისკენ გზა გადაკეტილი მქონდა და ამიტომაც გადავდგი ასეთი ნაბიჯიო — გულისტკივილით ამბობს ყოველგვარ უკეთურობასთან და წლებთან ვაჟკაცურად შებმული ბატონი სპარტაკი.

არანაკლებ მრავლისმეტყველად გვესახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობისას მომხდარი ფაქტი, როცა მეორე კურსზე გადაყვანაზე უარი თქვა და მოითხოვა, პირველ კურსზე დამსვით, რათა სტიპენდია დამენიშნოსო.

განსაკუთრებული თვისებებით შემკული ხელმძღვანელის რეპუტაცია დაიმსახურა ვაჭრობის სისტემაში ხანგრძლივი მოღვაწეობისას, სადაც 18 წლის განმავლობაში განაგებდა ვაკე-საბურთალოს რაიონის საცალო და საზკვების ობიექტებს.

სათქმელ-გასახსენებელს რა გამოულევს უკვე 80 წლის დიდ პაპას, ფუძეძლიერი ოჯახის ბურჯს, რომელიც შთამომავლობით ხარობს და იმედოვნებს, რომ 5 წლის ალექსანდრე მაინც გაუყვება საფიცარი წინამორბედის გაკვალულ ბილიკს. სხვათა შორის, მისაბაძად მას სპორტულ სამყაროში ასევე დაფასებული ბიძის, „ბორჯღალოსანთა“ ყოფილ კაპიტან ირაკლი აბუსერიძის მაგალითიც გამოადგება.

ვიტალი ჯაფარიძე

მარცხნიდან: შოთა ლომიძე, ტარიელ ალიბეგაშვილი, სპარტაკ ქარსაულიძე, გურამ საღარაძე

◎ გასათვალისწინებელია!

ისევ ფეხბურთის წესების შესახებ

თქვენი გაზეთის საშუალებით 7 იანვარს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას წინადადებით მივმართე — ინიციატივით გამოსულიყო (ანუ მიემართა უეფასთვის ან ფიფასთვის), რათა ფეხბურთის წესებშიც შეეტანათ კალათბურთში მოქმედი ე.წ. ზონის და 8 წამის წესები (ფეხბურთისთვის — 30-35 წამის). ახლა ისევ მივმართავ ფედერაციას ახალი წინადადებით:

ყველამ ვიცით, თუ რაოდენ სახიფათოა (გოლის გატანის თვალსაზრისით) საჯარიმო მოედნის სიახლოვეს დანიშნული საჯარიმო დარტყმა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამცველი გუნდის მიერ 4-6 ფეხბურთელისგან აღმართულ „ცოცხალ კედელს“, რომელიც საჯარიმოს დარტყმის ადგილიდან 9 მეტრში დგება.

ვინაიდან დამცველი გუნდის მოთამაშეები თითქმის არასოდეს არ იცავდნენ 9-მეტრიან დისტანციას და მსაჯსაც უჭირდა ამის გაკონტროლება (ზოგჯერ „თვალსაც ხუჭავდა“), მოიფიქრეს დარტყმისა და „ცოცხალი კედლის“ დასაყენებელი ადგილების მონიშვნა თეთრი ფერის სპეციალური ქაფით, რომელიც 1-2 წუთში უკვალოდ ქრება. ამისთვის მთავარი მსაჯი, რომელსაც თან აქვს ქაფის შემცველი პატარა ბალონი, ჯერ მონიშნავს დარტყმის ადგილს, შემდეგ კი, გადაზომავს რა ნაბიჯებით 9 მეტრს, — „ცოცხალი კედლის“ ადგილსაც. ამ წესმა მაშინვე გამოიღო შედეგი — თეთრი ხაზის გადაკვეთას ფეხბურთელები ვეღარ ბედავენ (იციან, რომ განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში ყვითელ ბარათს დაიმსახურებენ).

თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ მაინც რჩება ერთი შეხედვით პატარა, თუმცა, მნიშვნელოვანი ხარვეზი, რაც შემდეგში მდგომარეობს: არათუ სხვადასხვა მსაჯის, არამედ ერთი და იმავე მსაჯის მიერაც ნაბიჯებით გადაზომილი 9 მეტრი არ არის ხოლმე ყოველთვის ერთი ზომის. იგი იშვიათად არის ზუსტი, უხშირესად(!) კი 9 მეტრზე ნაკლებია ხან 20-30 სმ-ით და ხანაც — ნახევარი მეტრით, ზოგჯერ, — კიდევ უფრო მეტადაც (მოედანზე შექმნილ საფეხბურთო სიტუაციას — ანგარიშს, დარჩენილ დროსა და მსაჯის სუბიექტურობას გააჩნია!). თითქოს, ასეთ მცირე ცდომილებას, რაღაც სანტიმეტრებს არც უნდა მივაქციოთ ყურადღება, მაგრამ ყოველმა ფეხბურთელმა, უპირველესად კი საჯარიმოს დამრტყმელმა მოთამაშემ და დამცველი გუნდის მეკარემ, კარგად იცის ამ სანტიმეტრების ფასი!

ბოლოს და ბოლოს, წესი წესია და იგი ყოველთვის ზუსტად უნდა იქნას დაცული. **თუკი კუთხურის ჩაწოდებისას 9 მეტრის წესის დასაცავად კარგა ხნის წინათ მოიფიქრეს ამ მანძილის აღმნიშვნელი ხაზი მოედნის პირით ხაზთან, განა საჯარიმოს შესრულების დროს (მით უფრო, საჯარიმო მოედნის სიახლოვეს), გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს 9 მეტრის წესის ზუსტად, სწორედაც სანტიმეტრების სიზუსტით დაცვას?** რა თქმა უნდა! ამაში არავის არ ეპარება ეჭვი, უფრო მეტიც, დიდი ხნის წინათ ფეხბურთის სამშობლოში — დიდ ბრიტანეთში დადგენილი და ფიფას მიერ გაზიარებული საერთაშორისო წესებით არათუ ცხრა მეტრი უნდა იყოს ბურთსა და „ცოცხალ კედელს“ (ან დამცველ, თუნდაც, ერთ მოთამაშეს) შორის მანძილი, არამედ — **არანაკლებ (!) 10 იარდისა, ანუ 9 მეტრისა და 14 სანტიმეტრისა!** ცხადია, ამ წესს ყველა მსაჯი ერთნაირად(!) უნდა იცავდეს, დღეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასე არ ხდება — არ ან ვერ ხერხდება.

ისიც უნდა ითქვას, რომ **თანამედროვე, ზუსტი ტექნოლოგიების ეპოქაში უხერხულიც კია, ღიმილის მომგვრელია 9 მეტრისა და 14 სანტიმეტრის ნაბიჯებით გადაზომვა!** ეს ხომ, პრაქტიკულად, შეუძლებელია! არადა, ამ პრობლემის მოგვარება ძალიან მარტივად შეიძლება — ამისათვის საკმარისია მსაჯს ბალონთან ერთად გააჩნდეს კიდევ უფრო პატარა ზომის **ლაზერული მანძილმზომი,** რომლითაც ბურთის დარტყმის ადგილიდან ერთ წამში გაიზომება მანძილი „ცოცხალ კედლამდე“ და მსაჯს, მართლაც, სანტიმეტრების სიზუსტით შეეძლება იმის განსაზღვრა, თუ სად უნდა დააყენოს „ცოცხალი კედელი“.

მანძილის გაზომვის **ამ უზუსტესი და უმარტივესი მეთოდის შემოღება გამორიცხავს როგორც მოთამაშეთა უკმაყოფილებას (მსაჯების მიმართ), ისე — არაობიექტურ მსაჯობასაც.**

იაკობ ლეჟავა

კორუფცია თუ ხაზინის ქურდობა?!

ანანოვების სასახლე ვარციხეში საეჭვო ვითარებაში გაიყიდა

„ძართულ ბიზნესს ძალიან საინტერესო და უპრეცედენტო ინიციატივა წარვუდგინეთ – დღეიდან 100 პარალელური ელექტრონული აუქციონი გაიმართება და უახლოესი თვეების მანძილზე, არანაკლებ 100 ობიექტი მუდმივად იქნება გამოტანილი აუქციონზე“ – ასე დააანონსა 2019 წლის 29 ნოემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ მასშტაბური პრივატიზაციის პროექტის დაწყება. მინისტრმა მაშინ ამ პროექტს უპრეცედენტოც უწოდა.

ამის შემდეგ ქონების ეროვნულმა სააგენტომ არაერთი ნაკლებად მნიშვნელოვანი ობიექტი გამოიტანა გასაყიდად. პრივატიზების ეს ტალღა ქართული ეკონომიკისთვის ახალი ბიძგი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად მოლოდინისა, პრივატიზაციამ საყოველთაო ხასიათი ვერ მიიღო, რადგან საპრივატიზაციოდ გამოტანილი ობიექტებიც საინვესტიციო მომხიბვლელობით არ გამოირჩეოდა. ამ სიიდან იშვიათი გამონაკლისი იყო ანანოვების სასახლე, რომლის აუქციონზე გატანა სამინისტრომ ნაჩქარევად, რატომღაც 31 დეკემბერს, ბიზნესისთვის არააქტიურ პერიოდში გადაწყვიტა.

იმერეთში, ბაღდათის რაიონში, სოფელ ვარციხეში ანანოვების ყოფილი სასახლის გასაყიდად საჯარო აუქციონი 2019 წლის 31 დეკემბერს გამოცხადდა. ისტორიული ნაგებობა 2019 წლის 31 დეკემბერს რეგისტრირებულმა კომპანია შპს „ინვესტ ჯგუფმა“ 1,375,000 ლარად შეიძინა.

„კომერსანტის“ ინფორმაციით, 77,500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ისტორიული ნაგებობა ბიზნესმენების – ძმები დუგლაძეების საკუთრებაში გადადის. სამეწარმეო რეესტრში დუგლაძეების სახელი არ ჩანს, დოკუმენტებში შპს „ინვესტ ჯგუფის“ 100%-იანი წილის მფლობელი ნინო ლორთქიფანიძეა, კომპანიის დირექტორად კი დავით კობახიძეა. გავრცელებული ინფორმაციით, ნინო ლორთქიფანიძე ბიზნესმენ დუგლაძეებთანაა დაკავშირებული.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, თუ რატომ გადაწყდა ამ ობიექტის გასაყიდად აუქციონისთვის ყველაზე არახელსაყრელი პერიოდის არჩევა და ვის ინტერესებში შედიოდა ის, რომ რაც შეიძლება ნაკლებ ადამიანს გაეგო ვარციხის სასახლის ელექტრონული ვაჭრობის შესახებ?

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში განმარტავენ, რომ ქვეყანაში მეტი ინვესტიციის მოსაზიდად აქტიურად ახორციელებენ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კერძო სექტორში გადატანას მათი პრივატიზების გზით. **„აღნიშნული აუქციონი გამოცხადდა 2019 წლის 31 დეკემბერს ელექტრონული აუქციონების სისტემა – www.eauction.ge-ზე და გაგრძელდა 2020 წლის 13 იანვრამდე. ამ ხნის განმავლობაში აუქციონს 700-მდე ვიზიტორი ეწვია, თუმცა მხოლოდ ერთმა მათგანმა დადო ბიჯი და გახდა აუქციონში გამარჯვებული.**

ინფორმაცია გამოცხადებული აუქციონის შესახებ, ასევე გავრცელდა სხვადასხვა მედიასაშუალებებში. პრივატიზების პროცესი იყო სრულიად გამჭვირვალე და ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდა თანაბარი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო ელექტრონულ აუქციონში“ – აცხადებენ სააგენტოში.

„ასევე დამატებით გაცნობებთ, რომ მსგავსი პრაქტიკა სააგენტოს მუშაობის წინა წლების დროსაც არსებობდა, მაგალითად 2017 წლის ბოლო ორ დღეში, ისევე როგორც 2018 წლის ბოლოს, სააგენტომ ჯამში 6 ელექტრონული აუქციონი გამოაცხადა, ხოლო 2019 წლის ბოლო ოთხ დღეში გამოცხადებული აუქციონების რაოდენობამ 13-ს მიაღწია...“

აუქციონში გამარჯვებული კომპანია „ინვესტ ჯგუფი“ იღებს ვალდებულებას, განახორციელოს 4 მილიონი ლარის ინვესტიცია და ადგილზე ტურისტული ობიექტი მოაწყოს.

„ვიღაცას უნდოდა, რომ ამ აუქციონს სწრაფად და შედარებით გაუმჭვირვალედ ჩაევლო. ამ შემთხვევაში ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობაზეა საუბარი და შემიძლია ვთქვა, რომ ნაჩქარევადაა ეს კონკურსი გამართული.“ – ასე აფასებს ოპოზიციონერი ფინანსისტი გიგა ბედინეიშვილი ანანოვების ყოფილი სასახლის აუქციონზე გაყიდვას წლის ყველაზე არასაქმიან დროს.

– ბიუროკრატებს ყოველთვის აქვთ თავიანთი მეთოდები იმისთვის, რომ შეზღუდონ კონკურენცია მსგავსი ტიპის აუქციონის პირობებში. ჩემი აზრით, ორ კვირაში და ამ დღესასწაულების დროს, რომელიც ჩვენს კალენდარში ყველაზე არასაქმიან პერიოდად მიიჩნევა, აუქციონის გამოცხადება სერიოზული ეჭვის საფუძველს ქმნის.

კარგი იქნება, თუ მთავრობას ექნება მკაფიოდ დალაგებული, კარგად რეკლამირებული პრივატიზაციის პროგრამა. აუქციონებს წინ უნდა უძღოდეს გულწრფელი კამპანია, რომ მოთხოვნა ამ ობიექტებზე იყოს მაქსიმალიზებული და არა პირიქით, შემცირებული. ჯობია, ერთხელ გაკეთდეს დიდი მასშტაბის აუქციონები, ვიდრე ასე ლუკმა-ლუკმა თითო-თითო ობიექტი ახალ წლებზე გამოიტანონ და უცებ ახლობელს თუ ქრთამის მომცემს ჩაუგდონ ხელში.

90-იან წლებში რა ფულიც გაკეთდა ჩვენს ქვეყანაში, ეს იყო ხაზინის ქურდობა. დღევანდელი ხელისუფლების მოდელიც ხაზინის ქურდობას უწყობს ხელს – ყველაფერი კეთდება, რომ სახელმწიფო ქონება სწრაფად, გაუმჭვირვალედ და კორუფციული ფორმებით გაიყიდოს.“ – ამბობს გიგა ბედინეიშვილი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ფრანგი ძმების ანანოვების მიერ აგებული შენობა, თავდაპირველად საცხოვრებელი სახლი იყო, მოგვიანებით სასტუმროდ გადაკეთდა და ბოლოს სამთავრობო რეზიდენციის ფუნქცია შეიძინა. მოგვიანებით, ცნობილ მეღვინეებსა და ხის გადამამუშავებელი საწარმოს მფლობელებს ქონება ჩამოართვეს და სახელმწიფოს გადასცეს. სასახლის ისტორია საინტერესო განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში მას სამთავრობო რეზიდენციის სტატუსი მიენიჭა, წლების მანძილზე რეზიდენცია უმაღლესი რანგის სტუმრებს მასპინძლობდა. სამთავრობო რეზიდენციამ 2012 წლიდან პატრიოტთა ბანაკის ფუნქცია შეიძინა, ეს სტატუსი ანანოვების სასახლეს 2014 წლამდე ჰქონდა, ხოლო მას შემდეგ ქონება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე ფიქსირდებოდა.

მარიამ მორგოშია

სანთელი

თეიმურაზ ჯანაშია, ნოდარ თოფურია, ვაჟა ადეიშვილი და სს „თბილქალაქმშენის“ პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ამავე საზოგადოების სპეციალისტს რევაზ გუნცაძეს გარდაეცვალა შვილი

არჩილ გუნცაძე

და გულითად თანაგრძნრობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს, მამას, დას, ნათესაობას და ყველა ახლობელს.

რა მოხდა გარეჯში?!

შეიარაღებული ინციდენტის დეტალები

ძველით ახალ წელს ინციდენტი დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით 13:00 საათისთვის მოხდა. როგორც გიდი ზვიად ანანიაშვილი ყვება, მოქალაქე გიორგი იჩუკაიძემ სცადა, ასულიყო ჩიჩხიტურის მონასტერთან, რომელიც საზღვრის დაუდგენელ მონაკვეთზე მდებარეობს. ტერიტორიას აკონტროლებენ ქართველი და აზერბაიჯანელი მესაზღვრეები. უარის მიღების შემდეგ, სუს-ის ცნობით, მძევლად აიყვანა ქართველი მესაზღვრე. ამ დროს მან რამდენჯერმე გაისროლა, რასაც აზერბაიჯანული მხრიდანაც მოჰყვა საპასუხო გასროლა, სწორედ ამ დროს მოხდა დამნაშავის განეიტრალება ქართველი მესაზღვრეების მიერ.

„მოქალაქემ სცადა ჩიჩხიტურის მონასტერთან ასვლა, რომელიც ძალიან დიდი ხანია, დაკეტილია და არავის უშვებენ. უარის მიღების შემდეგ ძალადობრივ ხერხებს მიმართა: ამბობენ, იარაღი და ხელყუმბარა ჰქონდაო. მესაზღვრეები ყვებოდნენ, ხელყუმბარა გახსნაო და მუქარის ძალით წაიყვანა (მესაზღვრე) ჩიჩხიტურისკენ. როგორც ვიცი, ბოლომდე, ქედამდე არ ასულან. რაღაც მომენტი ნახეს მესაზღვრეებმა სამოქმედოდ, აართვეს ხელყუმბარა და გადააგდეს. რა თქმა უნდა, ინციდენტი აკრძალვამ გამოიწვია. რომ არ ყოფილიყო ეს აკრძალვა, არც ეს ადამიანი ავიდოდა, ხო? სანამ ჩაკეტვა მოხდებოდა, არანაირი კონფლიქტური სიტუაცია არაა დაფიქსირებული. 14 ივლისსაც იყო ინციდენტი, მოქალაქეები გადმოვიდნენ, თუმცა პროტესტი იარაღის გარეშე დაფიქსირდა, ახლა უარესი მოხდა. ანუ პროტესტი დაიწყო მას შემდეგ, რაც გაურკვეველი სიტუაცია ჩამოყალიბდა: ვერ გადადიხარ, არც იცი, რატომ ვერ გადადიხარ და ა.შ.“, – ყვება ზვიად ანანიაშვილი.

სსრკ-ის დაშლისა და საქართველოსა და აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დღემდე ოფიციალურად სახელმწიფო საზღვრის მხოლოდ ნაწილია განსაზღვრული. პროცესი ძირითადად მე-6 საუკუნის ქართული კულტურული ძეგლის – დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ერთი მონაკვეთის გამო შეფერხდა: კელიების ნაწილი აზერბაიჯანის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზეა მოქცეული.

მომაკვდინებელი დღესასწაული

ახალი წელი – ყველა წესითა და რიგით სხვა დღესასწაულებზე ყველაზე ხალისიანი და იმედის მომტანია, მაგრამ სამწუხაროდ, რუსეთში მის აღნიშვნას სავალალო, მეტიც, ერთობ საზარელი სტატისტიკა ახლავს: ყოველ პირველ იანვარს ქვეყანაში 3,5-ჯერ მეტი მკვლელობა ხდება, ვიდრე წლის ჩვეულებრივ დღეს.

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში იქ დღე-ღამეში საშუალოდ სამოცდაექვსი მკვლელობა დგინდება, გამოდის, რომ 1 იანვარს 152 კაცს კლავენ. დაკვირვებათა 17 წლის განმავლობაში კი ამ დღეს 2592 კაცი მოკლეს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, რეალობა კიდევ უფრო საშინელია: **მკვლელობათა რიცხვის მატება 29 დეკემბრიდან იწყება და 3 იანვრამდე გრძელდება. ამდენად, სტატისტიკა მოწმობს, რომ ახალი წლის ზეიმის ექვსი დღის განმავლობაში დამატებით იღუპება 261 კაცი.**

აღნიშნავენ იმასაც, რომ ეს აისბერგის მხოლოდ მწვერვალია. **წლის მანძილზე მკაფიოდ იკვეთება მკვლელობათა შვიდი პიკი: მათგან სამი იანვარშია, თითო-თითო – თებერვალსა და მარტში, ასევე ერთი – მაისში.** ყველა მათგანი დღესასწაულს ემთხვევა: იანვარში – 7-ში, 13-ში და 20-ში, ესენია შობა, ძველით ახალი წელი და წყალკურთხევის შემდგომი დღე. ახალი წლის შემდეგ კი მკვლელობათა რიცხოვნობით დაღმავალი მნიშვნელობებით მოდიან 8 მარტი, 9 მაისი, 23 თებერვალი, 1 მაისი... მაგრამ, ისინი ყველა ერთად აღებულნი მაინც ჩამორჩებიან 1 იანვრის დამატებით მკვლელობების რიცხვს.

აღსანიშნავია, რომ სადღესასწაულო მკვლელობათა რეიტინგი ზოგადად საერთაშორისო ფენომენია. მაგალითად, **ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ იქ მკვლელობათა პიკი მოდის შობაზე, შემდეგ მოდის ახალი წელი, მერე კლებადობის მიხედვით მოდიან მადლიერების, დამოუკიდებლობის, შრომისა და ხსოვნის დღეები.**

ყოველივეს ასახსნელად პირველი, რაც მკვლევარს აზრად მოსდის, ისაა, რომ გახშირებული მკვლელობები ალკოჰოლს უკავშირდება – მხედველობაში გვაქვს როგორც ძალადობა, ასევე უხარისხო სასმელებით მოწამლვა.

პატარა კახი 300 წლისაა

2020 წელს მეფე ერეკლე მეორის დაბადებიდან 300 წელი შესრულდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი ამ თარიღს მრავალფეროვანი ღონისძიებებით ხვდება.

საქართველოს ეროვნულ არქივში მეფე ერეკლე მეორის მიერ გაცემული 1800-ზე მეტი ისტორიული საბუთი ინახება. ეს დოკუმენტები საქართველოს ისტორიაში ერთი-ერთი გამორჩეული მეფის მოღვაწეობის შესახებ მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის.

საბუთებს შორისაა საქმიანი და პირადი წერილები, წყალობისა და შეწირულების სიგელები, განაჩენები, სახელმწიფოს პოლიტიკურ, სამხედრო, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

ისტორიულ საბუთებთან ერთად ეროვნული არქივის ფონდებშია ერეკლე მეფესთან დაკავშირებული ხელნაწერები, მისი სტამბის გამოცემები, სხვა საარქივო დოკუმენტები.

2020 წელს ეროვნული არქივი გეგმავს საიუბილეო გამოფენების გამართვას თბილისში და თელავის ისტორიულ მუზეუმში.

ამასთან, იგეგმება 2008 წელს ეროვნული არქივის მიერ გამოცემული წიგნის „ერეკლე II-ის საბუთები“ განახლებული და შევსებული ვერსიის გამოქვეყნება, სადაც ეროვნულ არქივში დაცულ დოკუმენტებთან ერთად შევა სხვადასხვა აკადემიურ დაწესებულებაში დაცული ისტორიული საბუთები.

ასევე გამოიცემა ალბომი „ერეკლე მეორე“, რომელიც დღემდე მოღწეულ, მეფესთან დაკავშირებულ წერილობით წყაროებსა და მემორიალურ ნივთებს გააერთიანებს.

ქართველი მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხზე ახალი სამეცნიერო კვლევები იქნება წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული არქივის მეხუთე საერთაშორისო კონფერენციის — „არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, ტენდენციები და გამოწვევები“, სპეციალური სექციაზე, აგრეთვე საგანგებო სამეცნიერო სესიაზე.

საიუბილეო წელს დაგეგმილია ერეკლე მეორის მიერ გაცემული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის მომზადება და პრეზენტაცია; საჯარო ლექციები, ფეისბუქაქტივობები და საიმიჯო პროდუქციის დამზადება.

მოწამეთაში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება დასრულდა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ტყიბულის მუნიციპალიტეტში, მოწამეთას მონასტერთან, კულტურული მემკვიდრეობის და ტურისტული ზონების კეთილმოწყობის სამუშაოები დაასრულა. პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდა და მისი ღირებულება დაახლოებით 1.4 მილიონი ლარია.

პროექტი ითვალისწინებდა გალავნის კედლების გამაგრებით სამუშაოებს. ასევე, ვიზიტორთა ცენტრის, ავტოსადგომის, საკომუნიკაციო სისტემის და საპირფარეშოების მშენებლობა-რეაბილიტაციას.

უწყებაში აცხადებენ, რომ პროექტის მიზანია ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც იმერეთის რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის.

იაპონელები შქმერულს დაგემოვნებენ

იაპონიაში საქართველოს საელჩოს ინფორმაციით, დღეიდან იაპონური სწრაფი კვების ქსელ მაცუიას ათასამდე ფილიალში გაიყიდება ქართული კერძი შქმერული.

აღსანიშნავია, რომ ყველა ფილიალში გამოაკრეს პოსტერი, რომელზეც დატანილია საქართველოს რუკა, დროშა და ქვეყნის შესახებ მოკლე ინფორმაცია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

5 ფაქტი საქართველოს დროშის შესახებ

წითელჯვრებიანი დროშა საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკად 2004 წლის 14 იანვარს დამტკიცდა. ახალმა დროშამ მანამდე არსებული სამფერა დროშა ჩაანაცვლა.

აი, 5 მნიშვნელოვანი ფაქტი საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ:

1. საქართველოს დროშას თავისი პარამეტრები აქვს, რომელთა დაცვა აუცილებელია:

დროშის სიგრძე-სიგანის შეფარდება ორი სამზეა, მაგალითად, სიგანე — 2 მეტრი, სიგრძე — 3 მეტრი. წითელი ჯვრების ფერის ნომერი კი არის #FF0000, Hex Red.

2. რიგი წესები, რომლებიც დროშის აღმართვისას უნდა გაითვალისწინონ:

● სახელმწიფო დროშის აღმართვისას დამსწრე დგას დროშისკენ სახით;

● გლოვისას დროშა აღიმართება შავი ბაფთით, რომლის სიგრძეც დროშის სიმაღლის 1/2-ს არ უნდა აღემატებოდეს;

სტადიონზე დროშების წრიულად აღმართვისას საქართველოს დროშა აღიმართება სპორტული არენის მთავარი შესასვლელის პირდაპირ.

3. სავარაუდოდ, დღეისათვის არსებულ სახეს „გორგასლიან-დავითიანი“ დროშა 1320 წლიდან იღებს.

ამ პერიოდში გიორგი V ბრწყინვალემ კვლავ დაიბრუნა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, ასევე ჩაიბარა „კლიტე-ნი იერუსალიმისანი“, ანუ ქრისტეს საფლავის გასაღები. ამ დროიდან მაცხოვრისა და მახარებლების განმასახიერებელი ხუთჯვრიანი კომპოზიცია საქართველოს სიმბოლო ხდება.

ქართული სახელმწიფო დროშის მისი ფერისა და გამოყენების შესახებ რამდენიმე წერილობითი წყარო მოიპოვება როგორც ქართლის ცხოვრებაში, ასევე იმ პერიოდის საზღვაო რუკებში.

4. სახელმწიფო დროშა გამარჯვების, აღდგომის სიმბოლოდ მიიჩნევა.

მაცხოვარი წითელჯვრებიანი თეთრი დროშით ხშირად გამოისახებოდა რენესანსის პერიოდის ფერწერაში.

5. საქართველოს დროშის გარდა, მხოლოდ წითელი და თეთრი ფერები გამოყენებულია 12 ქვეყნის დროშის დიზაინში.

ეს ქვეყნებია: ავსტრია, კანადა, ბაჰრეინის სამეფო, დანია, ინდონეზია, იაპონია, პოლონეთი, სინგაპური, ტონგის სამეფო, ტუნისი და თურქეთი.

თეა თოფურია

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8876; ევრო - 3.2151;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7478;
100 რუბლი - 4.7059; თურქული ლირა - 0.4903;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6924;
1000 სომხური დრამი - 6.0171.

ამინდი 16 იანვრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -3, დღე +5
მთიანი რაიონები - ღამე -12, დღე +5
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1, დღე +12
მთიანი რაიონები - ღამე -6, დღე +7
თბილისი: ღამე 0, დღე +3

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge